პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 160 (13554) | პარასკევი, 15 ივლისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოთა საქართველოს დღე



ინგირელ მექანიზატორთა გამარჯვება

სულ ახალ რეკორდებს ამყარებენ ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს" მექანიზატორები. ავიღოთ, მაგალითად, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები ი. შულაია, შ. აფხაზავა, გ. ზარძუა და სხვები. თუ შარშან დღის ყველაზე დიდი შედეგი იყო 4.030 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ახლა ი. შულაიამ ერთ დღეში მოკრიფა 5.093 კილოგრამი ნედლეული, ხოლო შ. აფხაზავამ — 5.200 კილოგრამი! ეს მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ამოწურული არ არის „საქართველოს" შესაძლებლობანი.

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ მოპოვებულია დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება. ილია შულაიას კომპლექსურმა მექანიზებულმა რგოლმა შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ფაბრიკას გაეგზავნა 75 ტონა ჩაის ნედლეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 ტონისა.

მოწინავე მექანიზატორები, რასაკვირველია, მიღწეულს როდი სჯერდებიან. ი. შულაიას რგოლმა ვალდებულება იკისრა ჩაის კრეფის სეზონის დამთავრებამდე მოკრიფოს კიდევ 40 ტონა ჩაი და 7 ათას კილოგრამამდე აიყვანოს ჰექტარობრივი მოსავლიანობა იმ პლანტაციაში, რომელსაც იგი ამუშავებს. (საქდესი).

გუშინ ჩაის პლანტაციებში

წლიური გეგმები შეასრულეს

◆ **მარტი** ჩაისათვის ლაშქრობა წარმატებით გრძელდება. წალენჯიხის რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ წლიური გეგმა შეასრულა, — გვაცნობა ტელეფონით პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კპარაცხელიამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ საჩინოს კოლმეურნეობა „კომუნიზმის" (თავმჯდომარე ლ. ჭანტურია) მეჩაიეთა გამარჯვება. საჩინოელებმა 12 ივლისისათვის მოკრიფეს 325 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 320 ტონისა.

საჩინოელმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 200 ტონა ჩაის ნედლეული. ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილი აქვთ 7 ტონაზე მეტი. წელს კოლმეურნეობაში საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 7 ტონას მიაღწევს.

◆ **სოფელ** მელეტედურის კოლმეურნეობაში (მახარაძის რაიონი) თავი ისახელა მეჩაიე ზ. ჩახოიანმა. იგი საგულდაგულოდ უვლის ნახევარ ჰექტარ პლანტაციას, უკვე მოკრიფა 4.000 კილოგრამამდე „მწვანე ოქრო" ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.700 კილოგრამისა. მოწინავე მეჩაიე იქვსი ტონა ჩაისათვის იბრძვის. (საკ. კორ.).

ქარხნებსა და მინდვრებში

ამ სურათზე აღბეჭდილი (მარცხნიდან პირველი) მოწინავე ადამიანების სახეებზეც კი შეიძლება ამოიკითხოთ ის, თუ როგორ გმირულად შრომობენ ისინი. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგები ახალ წარმატებებს აღწევენ. მათ შორის საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ № 27 ღუმელის მდნობელთა ბრიგადის წევრებს, რომლებსაც კომუნისტი პ. სოფრომაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის მეგობრული კოლექტივი სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებას — ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 1.5-2 ტონა მაღალი ხარისხის ფეროშენადნობს უშვებს. სურათზე (მარცხნიდან პირველი) თვალნი ხედავთ მდნობელთა ბრიგადის ხელმძღვანელს პ. სოფრომაძეს. მდნობელებს — ვ. არაბიძეს და ო. შარვაძეს.

სახელოვან მეტალურგებს მხარს უმშვენებენ საკოლმეურნეო მინდვრის მშრომელები. ამ დღეებში პურეულის აღება გაჩაღდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მათ წელს უნდა აიღონ 14.660 ჰექტარი პურეული. უკვე მომკილია ათას ჰექტარზე მეტი. პურეულის მინდვრებში კომბაინები გუგუნებენ. სურათზე (მარჯვნივ) პურეულის მოსავლის აღება ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო გ. გერსამიასი (საქდესის ფოტოკორესპ.) და მ. ალბოროვისა.



კომბაინერთა სოციალისტური მეჯიბრება

მათი სიტყვა და საქმე

სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის კომბაინერის გივი ლათიბაშვილის მაგალითით სოცშეჯიბრებაში დიდ წარმატებას აღწევენ რესპუბლიკის კომბაინერები.

წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის კომბაინერმა ა. იაკობიშვილმა თავთავიანი კულტურების მოსავალი 310 ჰექტარზე აიღო, ვ. ტოპლიკიშვილმა — 250 ჰექტარზე, ძ. შოშიაშვილმა — 245 ჰექტარზე.

სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობის კომბაინერებმა შ. ჰაბაშვილმა და დ. ზურაბაშვილმა თვითეულმა 250 ჰექტარზე აიღო მოსავალი, მაღაროელმა ა. ყანდაშვილმა — 230 ჰექტარზე და სხვ.

ყვარლის რაიონიდან თავი ისახელა ახალსოფლელმა კომბაინერმა ვ. სუხიტაშვილმა, რომელმაც მოსავალი 240 ჰექტარზე აიღო.

ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის გორკის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერმა შ. ზუბენკომ „სკ-3" კომბაინით 135 ჰექტარზე აიღო მოსავალი, ხოლო პ. ხარაიშვილმა „სტ-4" მარკის კომბაინით — 125 ჰექტარზე.

ა. ნ. კოსიგინა მიიღო პაკისტანის მეთაური

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად არის პაკისტანის ეროვნულ უფლისწული აბდულ შაჰი, რომელიც 13 ივლისს მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინმა.

სუბარამა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

კრემლში გრძელდება მოლაპარაკება

14 ივლისს კრემლში გაგრძელდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელიც ურთიერთგაგების, გულთბილობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობის, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობის გაფართოებისა და შემდგომი განვითარების პრობლემები. (საკქესი).

ინდირა განდი საუზმე გამართა

14 ივლისს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ ინდოეთის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოში საუზმე გამართა.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, დ. ხ. პოლიანსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ. ე. დმიშიცი, ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის კომიტეტების თავმჯდომარეები და სხვა ოფიციალური პირნი.

ინდოეთის მხრივ იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი სარდარ სვარან სინგჰი, პრემიერ-მინისტრის მდივანი ლ. კ. ჯჰა, საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ტ. ნ. კაული, ინდოეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში რ. ჯაიპალი და სხვები.

საუზმის დროს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა წარმოთქვეს მეგობრული სიტყვები. (საკქესი).

ლ. ს. პოლიანსკი მოსკოვში დაბრუნდა

მოსკოვი, 13 ივლისი. (საკქესი). დღეს კანადიდან მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი. იგი მეთაურობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას, შემდეგ კი კანადაში იყო როგორც კანადის მთავრობის სტუმარი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დ. ს. პოლიანსკის შეხვდნენ ამხანაგები ა. პ. პირილენკო, ა. ნ. შელეპინი, ბ. ნ. პონომარიოვი და სხვები.

საბჭოთა მთავრობის სტუმარი

18 ივლისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით, როგორც საბჭოთა მთავრობის სტუმარი, ჩამოვიდა უნგრეთის, საბერძნეთ საქმეთა მინისტრი ი. პეტერი. (საკქესი).

საკქესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-124"

1966 წლის 14 ივლისს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-124" ორიგინალური გაშვება. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განკუთვნილია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკავშირო გამოცდა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,4 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (ამოგება) — 303 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 208 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 51,8 გრადუსი.

სამეცნიერო აპარატურის ვარდა თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.



მეტალურგის დღის შესახვედრად

მეჯი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი

რუსთავი. (საკ. კორ.). საწარმოო გამარჯვებებით ეგებებიან თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს რუსთავის მეტალურგები. მათ გადაჭარბებით შეასრულეს ნახევარი წლის საწარმოო დავალება.

მეტალურგებმა ახალი წარმატებებით დაიწყეს წლის მეორე ნახევარი — გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები.

მეტალურგის დღის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ბრიგადები, რომლებსაც რ. ბაქრაძე, პ. ოძელაშვილი და ა. მგელაშვილი ხელმძღვანელობენ. მათი სახელები ქარხნის საპატიო დაფაზე გამოაკრეს.

მოღის ძვირფასი შენაძღობები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი, რომელმაც საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა ძვირფასი შენადნობთა გამოშვების ნახევარი წლის დავალება. მეტალურგები წარმატებით შრომობენ ივლისშიც.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ პირველი და მესამე საამქროების კოლექტივები, რომლებსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრები გ. გველესიანი და დ. ბოგვერაძე უძღვებიან. უმაღლესი მარკის ლითონის გამოშვებითა და მომჭირნეობით თავი ისახელეს კომუნისტური შრომის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირი კ. მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. გაჩეჩილაძე, სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი ლ. კობახიძე, ვ. ყანჩაველი და სხვები თაეკაცობენ.

მესამე საამქროს კოლექტივი აუმჯობესებს ელექტროლიზით ძვირფასი ლითონტრი მარგანეცის მიღების ტექნოლოგიას. ამისთვის აქ პერეოქსიდული მადნის, ნაცვლად იყენებენ მარგანეცის ღარის მადნებს, რითაც ეკონომია წლიურად 75.000 მანეთი დანაზოგს მიიღებს.

ზესტაფონელი მეტალურგები ახალ საწარმოო საჩუქრებს ამზადებენ მეტალურგის დღისათვის.

ბოლის ძვირფასი შენაძღობები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი, რომელმაც საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა ძვირფასი შენადნობთა გამოშვების ნახევარი წლის დავალება. მეტალურგები წარმატებით შრომობენ ივლისშიც.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ პირველი და მესამე საამქროების კოლექტივები, რომლებსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრები გ. გველესიანი და დ. ბოგვერაძე უძღვებიან. უმაღლესი მარკის ლითონის გამოშვებითა და მომჭირნეობით თავი ისახელეს კომუნისტური შრომის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირი კ. მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. გაჩეჩილაძე, სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი ლ. კობახიძე, ვ. ყანჩაველი და სხვები თაეკაცობენ.

მესამე საამქროს კოლექტივი აუმჯობესებს ელექტროლიზით ძვირფასი ლითონტრი მარგანეცის მიღების ტექნოლოგიას. ამისთვის აქ პერეოქსიდული მადნის, ნაცვლად იყენებენ მარგანეცის ღარის მადნებს, რითაც ეკონომია წლიურად 75.000 მანეთი დანაზოგს მიიღებს.

ზესტაფონელი მეტალურგები ახალ საწარმოო საჩუქრებს ამზადებენ მეტალურგის დღისათვის.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა ურღვევი მეგობრობა

მიტინგი კრემლის დიდ სასახლეში

საბჭოთა კავშირი ინდოეთის ერთგული მეგობარია. საბჭოთა ადამიანებისათვის განსაკუთრებით ახლობელი და გასაგებია ინდოელი ხალხის სამშვიდობო მოსწრაფებანი, მეუმეხრობლობის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჯავაჰარლალ ნერუმ და კიდევ უფრო განავითარა ლალ ბაჰადურ შასტრიმ. ამიტომ არის, რომ ისინი ამ დღეებში ასე მხურვალედ და გულითადად მიესალმებიან ჯავაჰარლალ ნერუს ქალიშვილს — ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ინდირა განდის, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება მოსკოვში.

ორი ათასზე მეტი მოსკოველი შეიკრიბა 14 ივლისს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის მიტინგზე კრემლის დიდ სასახლეში, რომელიც მორთულია ორი მეგობარი ქვეყნის სახელმწიფო ალმებით.

მჭეფარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი ინდირა განდის, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სარდარ სვარან სინგჰს, პრემიერ-მინისტრის მდივანს ლ. კ. ჯჰას, საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანს ტ. ნ. კაულს, ინდოეთის დროებით საქმეთა რწმუნებულს საბჭოთა კავშირში რ. ჯაიპალს, სხვა ინდოელ სტუმრებს, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ. საპატიო სტუმართან ერთად პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, დ. ხ. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაბანოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები ნ. გ. იგნატოვი და მ. ა. ისკენდეროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ს. მ. ბუდიონი, კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ. ე. დმიშიცი, ვ. ა. კირილინი, ი. ტ. ნოვიკოვი, ლ. ვ. სმირნოვი, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრები და კომიტეტების თავმჯდომარეები, მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები, თვალსაჩინო საბჭოთა საზოგადო მოღვაწენი.

დარბაზში არიან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები.

მიტინგი გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თ. პრომისლოვმა.

მოსკოველები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, განაცხადა მან, კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ ჩვენს სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის სულ უფრო ვითარდება მეგობრობა და თანამშრომლობა. ჩვენ ვიცით, რომ ინდოეთის რესპუბლიკა მხარს უჭერს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, თავისი წვლილი შეაქვს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ტაშკენტის დეკლარაციას ხელი მოაწერეს ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში.

კრემლის დიდ სასახლეში ხალხიმოდ აღელვდა ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მოსკოვის მშრომელთა სახელით სტუმარს მიესალმა მოსკოვის ობრეშუმსაქსოვი კომბინატის „წითელი ვარდის" მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ი. ბობკოვა...

შემდეგ სიტყვა მიეცა მ. ნ. პავლოვს, — მეტალურგიული ქარხნების საპროექტო სახელმწიფო ინსტიტუტის ინჟინერს, რომლის კოლექტივი ინდოელ სპეციალისტებთან ერთად მუშაობდა ბილაის მეტალურგიული ქარხნის პროექტზე.

ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა კეთილი ურთიერთობის ნაყოფიერ განვითარებაზე ილაპარაკა თავის სიტყვაში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა.

სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, რომელსაც მიტინგის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ა. ნ. კოსიგინის სიტყვა

პატივცემულო ქალბატონო ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრო!

ძვირფასო მეგობრებო!

ამხანაგებო!

საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მივესალმები მეგობარი ინდოეთის მთავრობის მეთაურს. საბჭოთა ადამიანები კარგად იცნობენ ქალბატონ განდის — თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს. მივესალმებით რა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს, ამით გამოვხატავთ მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობებს ინდოეთის — კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებული უდიდესი ქვეყნის დიდი ხალხისადმი, ვუსურვებთ მას კეთილდღეობას, აყვავებას, მშვიდობას და დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

ამ ბოლო ნახევარ საუკუნეში ჩვენი პლანეტის პოლიტიკური სახე ძირეულად შეიცვალა. ეს მოხდა უწინარეს ყოვლისა თანამედროვეობის ორი უდიდესი რევოლუციური ძვრის შედეგად — ეს არის სოციალისტურ სახელმწიფოთა სისტემის შექმნა და კოლონიურ იმპერიათა კრახი, რასაც იწვევს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება. ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა ჩვენი, მარქსისტული გაგებით, სოციალიზმის გამარჯვებანი და კოლონიური მონობის, ყველა სახის ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ხალხთა ანტიიმპერიალისტური ბრძოლის წარმატებანი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ჩვენი ხალხების მეგობრობა მსოფლიო სოციალიზმისა და მსოფლიო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალების თანამშრომლობისა და შეკავშირების მაგალითია. ამ ნიადაგზე იქმნება ინტერესთა ფართო ერთობა, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს აახლოებენ. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის თანამშრომლობა ხელს უწყობს ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის. ამავე დროს ეს თანამშრომლობა მშვიდობისა და სტაბილურობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია დედამიწის დიდ ნაწილში. შეიძლება ითქვას, რომ იგი შეესაბამება ჩვენი ქვეყნების უმაღლეს სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის სახელმწიფოებრივ ურთიერთობას თითქმის ოცი წლის ისტორია აქვს. ამ ურთიერთობას საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და ურთიერთპატივისცემა. ყველა საფუძველი გვაქვს კმაყოფილება გამოვთქვათ იმის გამო, რომ ვითარდება ჩვენი კეთილმეზობლური ურთიერთობა, და ვფიქრობთ, რომ ჩვენი საერთო მიზანია მისი შემდგომი განვითარება და განმტკიცება.

როგორც საბჭოთა კავშირი, ისე ინდოეთიც დიდ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო საქმეებში. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მტკიცე ერთგულება მშვიდობის საქმისადმი, მისწრაფება თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომის საფრთხე, ჩავფუშოთ იმპერიალისტთა აგრესიული ზრახვები, ვიღწვოდეთ ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმის, სოციალური პროგრესის საქმის გამარჯვებისათვის. საბჭოთა კავშირი მთელ თავის გავლენას იყენებს მშვიდობის დასაცავად ძალადობისა და აგრესიის წინააღმდეგ, ხალხთა უფლებების დასაცავად უცხოეთის ჩარევის წინააღმდეგ, პროგრესის დასაცავად რეაქციის წინააღმდეგ.

საერთაშორისო საქმეებში დიდი ხვედრითი წონა აქვს ინდოეთს. ისტორიის თითქმის იერ ახსოვს სხვა მაგალითი, რომ ქვეყანა, რომელიც უუფლებო კოლონია იყო, ასე სწრაფად გადაქცეულიყო არა მარტო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, არამედ ისეთ სახელმწიფოდ, რომელმაც მოიპოვა დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი. ინდოეთი აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო პრობლემათა გადაჭრაში.

საქმე, რასაკვირველია, მარტო ქვეყნის სიდიდე ან მოსახლეობის რიცხვი როდია. საქმე ის არის, რომ სახელმწიფო იყენებდეს თავის შემოქმედებითს ენერგიას ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დასაცავად. ჩვენს ქვეყანაში, ქალბატონო პრემიერ-მინისტრო, შეგიძლიათ ჰკითხოთ ყოველ ადამიანს, რას ფიქრობს ინდოეთზე, და იგი აუცილებლად გეტყვით ორ რამეს: ინდოეთი მეგობარი ქვეყანაა და ინდოეთი მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა.

ინდოეთის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს პოზიტიური ნეიტრალიტეტის, მეუმეხრობლობის პრინციპები. ამ პოლიტიკის ინიციატორი იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ჯავაჰარლალ ნერუ. იგი რეალისტი იყო და კარგად ესმოდა, რომ მეუმეხრობლობისა და იმპერიალისტურ ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა ინდოეთისათვის ნიშნავს, ჯერ ერთი, უშიშროების გარანტიას, მეორეც, დამოუკიდებლობის გარანტიას. საქმე ეხება როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ დამოუკიდებლობას, იმას, რომ წინააღეუდგეთ უცხოეთის მონოპოლიათა ექსპანსიას, რომლებიც ცდილობენ ნეოკოლონიალიზმის ულელი დაადგან განთავისუფლებულ ქვეყნებს. ინდოეთის მაგალითმა დადებითი გავლენა მოახდინა სხვა განვითარებადს სახელმწიფოებზე. ამ სახელმწიფოთა საზოგადოებრიობას კარგად ესმის, რომ მეუმეხრობლობის პოლიტიკაზე დამოუკიდებელ საგარეოპოლიტიკურ კურსზე ხელის აღება შეარყევდა ბევრი მათგანის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის თვით საფუძველს.

ბოლო წლებში მეუმეხრობლობის პოლიტიკამ ფართო აღიარება, მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა საერთაშორისო ასპარეზზე. იგი პოზიტიურ როლს ასრულებს კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ზღუდავს აგრესიული სამხედრო ბლოკების საქმიანობის სფეროს, ემსახურება უშიშროებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეს, საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა კავშირი და ინდოეთი ბევრს და წარმატებით თანამშრომლობდნენ საერთაშორისო საქმეებში. ჩვენი მთავრობები მხარს უჭერდნენ ნაყოფიერ კონტაქტებს, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, ისე მის გარეთაც, თუმცა, რა თქმა უნდა, არის ისეთი საკითხებიც, რომელთა გამო ჩვენი შეხედულებანი სხვადასხვანაირია. ბევრ შემთხვევაში საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის საგარეოპოლიტიკური საქმიანობა ხმარდებოდა ერთი და იმავე მიზნების მიღწევას ან ერთმეორის პარალელურად ვითარდებოდა. ეს შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიც არის ბრძოლა ხალხთა განთავისუფლებისათვის კოლონიური და რასისტული ჩაგვრისაგან, განიარაღება და ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილება, ბრძოლა მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

ახლა კაცობრიობის წინაშე განსაკუთრებით მწვავედ დგას ომისა და მშვიდობის საკითხები. ეს უწინარეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამში, მათი თავდასხმა

(გაგრძელება მე-2 გვ.).

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა ურღვევი მეგობრობა

(გაგრძელება)

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ამწვავებენ საერთაშორისო ვითარებას, საფრთხეს უქმნიან მშვიდობას არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ის, რაც ვიეტნამში ხდება, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას, საერთაშორისო მორალის ყველა კოდექსს. ამ მოქმედებას თავისი სახელი აქვს: ეს არის საერთაშორისო მასშტაბის ვანდალიზმი და ბარბაროსობა.

ერთ დროს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჯონ ფოსტერ დალესმა „მთელი მსოფლიოს აღშფოთება გამოიწვია იმით, რომ გამოაცხადა ომის ზღვარზე ბალანსირების პოლიტიკა. მისი მემკვიდრენი უფრო შორს წავიდნენ: ვიეტნამში თავიანთი პოლიტიკით ისინი გასცდნენ ამ ზღვარს და ამერიკის შეერთებული შტატები გადაჩეხეს სირცხვილისა და უპატიოსნობის უფსკრულში. ახლა მათ განახორციელეს ახალი, მეტად სერიოზული და საშიში ღონისძიება — ამერიკის ავიაციის მოქმედება გაავრცელეს ჰანოისა და ჰაიფონის რაიონზე.

ამერიკის მთავრობას სურს მიაღწიოს შეუძლებელს — გატეხოს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგობა. ამ მიუწვდომელი მიზნის გულისათვის იგი არაფერს არ ერიდება და შეერთებულ შტატებს უმზადებს საერთაშორისო იზოლაციას. ამერიკის მთავრობა ართულებს ურთიერთობას თავის მოკავშირეებთან, რადგან ყველაზე ერთგულმა მოკავშირეებმაც კი საჭიროდ მიიჩნიეს გამიჯნოდნენ ამერიკელ აგრესორთა ახალ ბარბაროსულ აქციებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სულ უფრო გადაჭრით გმობენ ამერიკის მოსახლეობის ფართო წრეებიც. მთავრობა ცდილობს აინაზღაუროს ეს დანაკარგი და მიმართავს ახალ და ახალ სამხედრო ავანტიურებს, რათა დაიმსახუროს თავისი ქვეყნის სხვადასხვა უკიდურესი ბემარჯვენე ელემენტების ნდობა. ამრიგად, საშინაო პოლიტიკური ანგარებითი ინტერესებისათვის საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უშიშროებას და თვით ამერიკელი ხალხის უშიშროებას, ამერიკელ ჯარისკაცთა სიცოცხლეს.

აგრესიის დამცველები იშველიებენ უაზრო დებულებას, რომ შეერთებული შტატები ვიეტნამიდან ვერ წავლენ პრესტიჟის მოსაზრებების გამო — თურმე ნუ იტყვით, მათ უნდა დაიცვან დიდი სახელმწიფოს ავტორიტეტი და ეგრეთ წოდებული პრესტიჟის შესანარჩუნებლად ახორციელებენ კურსს, რომლის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟი მსოფლიოში უკვე უაღრესად შეილახა. რასაკვირველია, ჩვენ სულაც არ გვაწუხებს ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟის შელახვა—ჩვენ სხვა საზრუნავი გვაქვს.

მაგრამ როცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიმართავს პირდაპირ აგრესიას სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, როცა იგი თავისი უგუნური პოლიტიკით საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას, — ეს ეხება, და არც შეიძლება არ ეხებოდეს საბჭოთა კავშირს, ეს ეხება და არც შეიძლება არ ეხებოდეს მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანას.

ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც აფართოებს საომარი მოქმედების მასშტაბს, მიმართავს აგრესიას ლაოსის ხალხის წინააღმდეგაც, სადაც აგრეთვე სპობს მშვიდობიან მოსახლეობას. იგი არღვევს კამბოჯის სუვერენიტეტს, რომლის უშიშროებას საფრთხე შეექმნა. ფაქტიურად ამერიკის იმპერიალიზმმა ომის სფეროში ჩაითრია ისეთი ქვეყნები, როგორიც არის ტაილანდი, ფილიპინები, ავსტრალია და ახალი ზელანდია, აგრეთვე სამხრეთკორეელ მარიონეტთა რეჟიმი.

ამერიკის აგრესია მთელი მსოფლიოს, მათ შორის ინდოეთის გულისწყრომას, აღშფოთებასა და სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. რასაკვირველია, საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ომის ხანძარი ფართოვდება უშუალოდ ინდოეთის საზღვრების მახლობლად. ინდოელ ხალხს თვითონაც ბევრი განსაცდელი გადაუტანია უცხოელ დამპყრობთაგან და კარგად ესმის, თუ რას ნიშნავს იმპერიალისტური თავდასხმა თავისუფლებისმოყვარე ხალხზე.

საბჭოთა მთავრობა მთელი სერიოზულობით ეკიდება ვითარებას, რომელიც შეექმნა ვიეტნამის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების უკანასკნელი აქციების შედეგად. ბუნებრივია, რომ ეს ახალი ვითარება გათვალისწინებულია იმ დახმარების გეგმებშიც, რომელსაც ვუწევთ და კვლავაც გავუწევთ მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოს — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც იცით, ჩვენ რამდენიმე დღის წინათ დავბრუნდით ბუქარესტიდან, სადაც ჩვენს მეგობრებთან და ვარშავის პაქტით მოკავშირეებთან ერთად ამხანაგურ ატმოსფეროში ვმსჯელობდით, კიდევ რა ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ დამატებით. მსჯელობის შედეგად შევიმუშავეთ და გამოვაქვეყნეთ განცხადება ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გამო. ამ განცხადებაში აისახა შვიდი სოციალისტური სახელმწიფოს ერთსულოვანი კოლექტიური გადაწყვეტილება და კოლექტიური განზრახვა სულ უფრო მზარდი დახმარება და მხარდაჭერა გავუწიოთ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რათა მან ძლევამოსილად მოიგერიოს ამერიკის აგრესია. ჩვენმა ქვეყნებმა ერთხმად განაცხადეს, რომ მზად არიან, თუ ამას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გვთხოვს, საშუალება მივცეთ სათანადოდ შეიარაღებულ მოხალისეებს წავიდნენ ვიეტნამში.

ვიეტნამელი ხალხი და მსოფლიო პროგრესული ძალები აღრიცხავენ ყველა ჩადენილ ბოროტმოქმედებას. ბუქარესტის თათბირის განცხადებაში აღნიშნულია, რომ თავის დროზე ისინი პასუხს აგებინებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომელიც ვერსად წაუვა პასუხისმგებლობას. აგრესორებმა უნდა იცოდნენ, რომ რა სიგიჟეც, რა დანაშაულიც უნდა ჩაიდინონ, ვერ დაიმორჩილებენ ქვეყანას, რომლის მილიონობით შვილი მკერდით იცავს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ვერ დაიმორჩილებენ ქვეყანას, რომელსაც ჰყავს ერთგული და საიმედო მეგობრები!

დიდი ხანია ითქვა, რომ ადამიანი არ არის კუნძული, რომელიც თავისთავად არსებობს. ჩვენს დროში არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია იყოს სხვებისაგან იზოლირებული კუნძული. თანამედროვე ეპოქაში, როცა სწრაფად ვითარდება მეცნიერება და სამხედრო ტექნიკა, და როცა ამ განვითარების გამოყენება შეიძლება ათობით, შესაძლოა ასობით მილიონი ადამიანის მოსასპობად, არ შეგვიძლია სიფხიზლე არ გამოვიჩინოთ ყოველივე იმისადმი, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობას. ჩვენს დროში სხვადასხვა ხალხის ბედი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული მიუხედავად იმისა, თუ რომელ კონტინენტს ეხება საქმე. ამას განსაკუთრებით მწვავედ გრძნობს საბჭოთა კავშირი, რომელიც როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყანაა.

რამისა და მშვიდობის პრობლემა ბევრად არის დამოკიდებული იმ ვითარებაზე, რომელიც ევროპის კონტინენტზე იქმნება. სოციალისტური ქვეყნების ამასწინანდელ ბუქარესტის თათბირზე ერთსულოვნად მივიღეთ დეკლარაცია, რომელიც შეიცავს ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ფართო და, ჩვენი აზრით, რეალურ პროგრამას. მისი ძირითადი დებულებანი მკაფიოდ და გარკვეულად არის ჩამოყალიბებული, სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს დეკლარაციას, ერთი აზრისა არიან იმის შესახებ, რომ დადგა ევროპის ქვეყნების თათბირის მოწვევის დრო, რათა ერთად განვიხილოთ, თუ რა ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ იმისათვის, რომ ევროპა გადავაქციოთ მტკიცე, საიმედო მშვიდობის კონტინენტად. იმედი გვაქვს, რომ სოციალისტური ქვეყნების წინადადებებს გაგებით მოეკიდებიან და მხარს დაუჭერენ ყველა სახელმწიფოს მთავრობები, რომლებიც სიტყვით კი არა, საქმით არიან დაინტერესებული, რომ შეიქმნას ასეთი ევროპა.

საბჭოთა კავშირი და ინდოეთი უაღრესად არიან დაინტერესებული მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფით და ეს არის მხოლოდ ერთი ელემენტი სხვადასხვა დარგში თანამშრომლობისა, რომელიც ახასიათებს ჩვენი ორი ხალხის ურთიერთობას. ეს ელემენტი უაღრესად მნიშვნელოვანია, და შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით მკაფიოდ ეს გამოვლინდა ტაშკენტის შეხვედრის დროს. სწორედ იქ, ტაშკენტში, უდიდესი ძალით აისახა ჩვენი საერთო მისწრაფება დავიცვათ და განვამტკიცოთ საერთაშორისო ცხოვრების ის პრინციპები, რომლებსაც საფუძვლად უდევს კეთილი ნება და სახელმწიფოთა შორის, კერძოდ აზიისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებს შორის სადავო საკითხთა მშვიდობიანი გადაწყვეტა.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ჯეროვანი პატივისცემით მოვიხსენიო თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე განსვენებული ლალ ბაჰადურ შასტრი, რომელსაც ესმოდა, რომ მშვიდობა და დაძაბულობის შენელება შეესაბამება ინდოეთის ინტერესებს და თანმიმდევრულად იცავდა ამ თვალსაზრისს.

ტაშკენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შეიძლება და კიდევაც საჭიროა მოთმინებით ვეძებოთ სახელმწიფოთა შორის რეალურად არსებულ უთანხმოებათა გადაჭრის გზები. მან ცხადყო, რომ იმ ხალხთა ინტერესების ღრმა ორგანული ერთობლიობა, რომლებიც იბრძვიან კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ და ისწრაფვიან დაძლიონ კოლონიური ჩამორჩენილობა, შეიძლება უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე ყველა უთანხმოება და წინააღმდეგობა, რომლებიც მათ წარსულის მემკვიდრეობად დარჩათ. ტაშკენტმა აგრეთვე ცხადყო, რომ განვითარებადი სახელმწიფოების ყველაზე საიმედო მეგობრები სოციალისტური ქვეყნები არიან.

პრემიერ-მინისტრ შასტრისა და პრეზიდენტ აიუბ ხანის მეცადინეობის შედეგად ტაშკენტის შეხვედრამ ბოლო მოუღო ინდოეთისა და პაკისტანის სამხედრო კონფლიქტს. ტაშკენტის დეკლარაციის ხელისმოწერის შემდეგ ორივე მხარემ გარკვეული ღონისძიებანი განახორციელა მასში მოცემულ დებულებათა შესასრულებლად, რამაც ხელი შეუწყო ამ რაიონში დაძაბულობის მნიშვნელოვან შენელებას.

ახლა, როცა ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შედეგად მსოფლიოში შემაშფოთებელი ვითარება შეიქმნა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ აზიის კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ქვეყნებმა ხელი შეუშალონ ახალი სამხედრო კონფლიქტების წარმოშობას. დაძაბულობის ყოველი ახალი კერა ხელს აძლევს მხოლოდ საერთაშორისო იმპერიალისტურ რეაქციას. დაძაბულობის ყოველი ახალი კერა ზიანს აყენებს მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი ხალხების საქმეს.

ამ ბოლო დროს ტაშკენტის დეკლარაციის შესრულების გზაზე ზოგიერთი სიძნელე წარმოიშვა. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ინდოეთისა და პაკისტანის სახელმწიფო მოღვაწეები იმით იხელმძღვანელებენ, რომ ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობის მოწესრიგება გარედან ჩაურევლად ერთადერთი გზაა, რომელიც შეესაბამება როგორც ინდოეთის, ისე პაკისტანის ხალხთა ინტერესებს, აზიაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. დაე აზიის ამ უდიდეს სახელმწიფოთა ხალხებმა იცხოვრონ და იშრომონ მშვიდობისა და კეთილმეზობლობის პირობებში!

მშვიდობის განმტკიცების ინტერესები განუყრელად არის დაკავშირებული კოლონიალიზმისა და რასიზმის საბოლოო ლიკვიდაციასთან, რა ფორმით და რომელ ქვეყანაშიც უნდა ხორციელდებოდეს ისინი, დაკავშირებულია ხალხთა თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარების უფლებების უზრუნველყოფასთან.

კოლონიური ქვეყნებისა და ხალხების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ყოფილი კოლონიური იმპერიების ნგრევაში არის როგორც საბჭოთა კავშირის. ისე ინდოეთის წვლილი. მაგრამ ეს ბრძოლა როდი დამთავრებულა. იგი გაგრძელდება, სანამ ყველა ხალხს არ გაეხსნება დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზა.

ნება მიბოძეთ, ქალბატონო პრემიერ-მინისტრო, გამოვთქვა რწმენა, რომ ინდოეთი კვლავაც მხარში ედგება იმათ, ვინც თანმიმდევრულად უჭერს მხარს ეროვნული განთავისუფლების დიდ საქმეს, ეხმარება ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებს და აქტიურად იბრძვის ყოველგვარი აგრესიის წინააღმდეგ.

ქვეყნები, რომლებმაც უკვე მოიშორეს კოლონიური მორჩილების უღელი, ბევრ ძალღონეს ახმარენ უცხოელთა ბატონობისაგან დატოვებული მძიმე მემკვიდრეობის ლიკვიდაციის საქმეს. ბუნებრივია, რომ ამ დროს მრავალი რთული პრობლემა წამოჭრება. ახალი ცხოვრება იბადება იმპერიალიზმთან და შინაურ რეაქციასთან, პროგრესის მოძხრეებსა და იმათ შორის გააფთრებულ ბრძოლაში, ვისაც სურს სამუდამოდ დაამკვიდროს ძველი წესწყობილება. ამ ბრძოლისათვის უნდა შეკავშირდნენ მთელი ნამდვილი პატრიოტული, ანტიიმპერიალისტური ძალები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხები ეძებენ გზებს, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს მათ უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, განმტკიცონ ბრძოლით მოპოვებული ეროვნული დამოუკიდებლობა. მაგრამ იმპერიალიზმს ხელი არ აუღია დაკარგული პოზიციების დაბრუნების ცდებზე. განვითარებად სახელმწიფოთა რეაქციული ძალების ხელმწყობით იმპერიალიზმი ხშირად ცდილობს გააძლიეროს თავისი პოზიციები, ცარიელ ფორმალობად აქციოს ამ სახელმწიფოებში მოპოვებული პოლიტიკური ზეგავლენის, კორუფციის, ზოგჯერ კი სამხედრო ჩარევის გზით, იგი ცდილობს შეაჩეროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარება და გაღრმავება და სოციალური გარდაქმნების განხორციელება, რომლებსაც ცხოვრება აყენებს. ბერკეტი, რომელსაც განსაკუთრებით ხშირად იყენებენ, არის ეგრეთწოდებული „ეკონომიური დახმარება“. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეკონომიური თანამშრომლობის საშუალებანი არ გადაიქცეს პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებებად, რომ ისინი ხელს არ უშლიდნენ იმ კურსის განხორციელებას, რომელიც შეესაბამება მოცემული ქვეყნის ინტერესებს, ხალხის მისწრაფებებს.

დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის განვითარების დიდი ამოცანები დგას ინდოეთის წინაშე. ქვეყანაში, რომელსაც ნახევარი მილიარდი მოსახლეობა ჰყავს, ამ ამოცანათა მასშტაბი, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად იზრდება. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ინდოელმა ხალხმა ბევრ რამეს მიაღწია. დაიწყო ეკონომიკის სტრუქტურის შეცვლა თანამედროვე დარგების შექმნისა და გაფართოების გზით. საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ მძიმე მრეწველობას, ამასთან დაწყებულ ინდუსტრიალიზაციაში წამყვან როლს ასრულებს სახელმწიფო სექტორი. სოციალიზმის ქვეყნებთან სამეურნეო ურთიერთობის დამყარებამ და გაფართოებამ შექმნა პირობები ეკონომიური ზრდის დაჩქარებისათვის. დამკვიდრდა ეკონომიური განვითარების გეგმები. ჩვენ კარგად ვხედავთ ამ მიღწევებს და მივესალმებით მათ.

ამავე დროს საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ ინდოეთი ახლა განიცდის თავისი ეროვნული განვითარების ისეთ ეტაპს, როცა მის წინაშე მდგომი პრობლემები მეტად მწვავეა, როცა მათი გადაჭრისათვის საჭიროა მთელი ხალხის ძალების სერიოზული დაძაბვა და მისი ხელმძღვანელების ბრძნული პოლიტიკა. მაგრამ მათ კარგად იციან ისიც, რომ ინდოეთში ცხოვრობს ნიჭიერი ხალხი, რომელიც შეჩვეულია დიდ, ნაყოფიერ შრომას. ჩვენ გვწამს მისი ძალები და შესაძლებლობანი გადაწყვიტოს ყოველგვარი ამოცანები. როდესაც მიმდინარე წლის დამდეგს პრემიერ-მინისტრის მაღალი პოსტი მიიღეთ, თქვენ, ქალბატონო განდი, ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ საჭიროა ვეყრდნობოდეთ ხალხის მასებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკას მთლიანად უქვემდებარებდეთ მათ ინტერესებს. ეს აზრი ეთანხმება იმ მიმართულების ჩვენს გაგებას, რომელშიც უნდა მუშაობდეს მთავრობა.

ინდოეთის ეროვნული ეკონომიკის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა. კარგად გვახსოვს ამ თანამშრომლობის წარმოშობის ისტორია. ეს მოხდა 10 წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ, როდესაც საბჭოთა კავშირმა თანხმობა განაცხადა დახმარებოდა მეგობარ ინდოეთს ინდოეთის სახელმწიფო სექტორის მეტალურგიული პირმშოს — ბჰილაის მეტალურგიულ ქარხნის მშენებლობაში.

საბჭოთა სპეციალისტები თავიანთ ინდოელ კოლეგებთან თანამეგობრობით ახლა მონაწილეობენ ინდოეთის მრეწველობის მთავარი დარგების 40-ზე მეტი დიდი ობიექტის მშენებლობაში. ესენია: შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა, ნავთობისა და ქვანახშირის მოპოვება და გადამუშავება. გავითვალისწინეთ რა ინდოეთის მთავრობის სურვილები, ჩვენ დავთანხმდით დავეხმაროთ მას ბოკაროს ახალი მძლავრი მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაში.

ინდოეთის მთავრობის სურვილების შესაბამისად ვთანამშრომლობთ სახელმწიფო საწარმოთა აღმენებლობაში. ჩვენთვის გასაგებია, რომ სახელმწიფო სექტორის განვითარება და განმტკიცება ინდოეთის ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია.

რამდენიმე ხნის წინათ ინდოეთის მთავრობამ სთხოვა საბჭოთა მთავრობას დახმარებოდა ინდოეთის მეოთხე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობაში. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის განაგრძოს ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა ინდოეთთან, კერძოდ, შავი და ფერადი მეტალურგიის, სამთომომპოვებელი და ნავთობის მრეწველობის ცალკეულ საწარმოთა მშენებლობასა და გაფართოებაში, ენერგეტიკასა და მაღალი კვალიფიკაციის ინდოელი კადრების მომზადებაში. ეს თანამშრომლობა შეესაბამება საბჭოთა კავშირის ინტერესებსაც. რომელიც კრედიტებს აძლევს ინდოეთს და სამაგიეროდ იღებს ჩვენთვის საჭირო სხვადასხვა საქონელს.

დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოება სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობას.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის [illegible] საერთაშორისო პოლიტიკისა და ჩვენი ხალხების ცხოვრების მრავალ დარგს. ეს ხალხის კეთილდღეობაა, რომელიც უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყნების ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის, ყველა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ინტერესებისათვის. ეფიქრობ, დღეს გვაქვს სერიოზული საფუძველი განვაცხადოთ, რომ არსებობს ხელშეწყობი შესაძლებლობანი საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ჩვენი ქვეყნების მთავრობათა მოვალეობაა კარგად გამოიყენონ ეს შესაძლებლობანი. ეფიქრობთ, ქალბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ თქვენი ვიზიტი საბჭოთა კავშირში დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ გზაზე.

ჩვენი ხალხების მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მხოლოდ ოცი წლის კარგი სახელმწიფოებრივი ურთიერთობა როდია. ამ მეგობრობას ღრმა, ისტორიული, საუკუნეობრივი ფესვები აქვს. ჩვენს გვწამს, რომ ეს მეგობრობა მარადიული იქნება ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, სოციალური პროგრესის საკეთილდღეოდ, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს და აყვავდეს ინდოეთის რესპუბლიკა!

დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობა!

• • •

შეკრებილთ სიტყვით მიმართა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ინდირა განდის სიტყვა

თავმჯდომარე კოსიგინ!

თქვენო აღმატებულებანო!

მეგობრებო!

მე ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დიად ქვეყანაში და მრავალი მოგონება დამრჩა, განსაკუთრებით, როცა მამაჩემთან ერთად ვიმოგზაურე 1955 წელს. ჭეშმარიტად აღტაცებული მიღება, რომელიც ჩვენ გაგვიწიეს, უაღრესად გულთბილი იყო და ახალი შინაარსით გამდიდრა ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მსოფლიომ გაიგონა ახალი ხმა — ლენინის ხმა — და იწყო რეაგირება ახალ იდეებზე. ჩვენში, ინდოეთში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა რამდენადმე სხვა გზით ვითარდებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენზე გავლენა მოახდინა და ღრმად ჩაგვწვდა გულში გმირული მეცადინეობა ახალი საბჭოთა მთავრობისა, რომელიც ცდილობდა დაემკვიდრებინა თავისი ძალაუფლება და მეფის ტირანიისა და ომის ნანგრევებზე აეშენებინა ახალი სოციალური წესწყობილება.

ჩვენზე შთაბეჭდილება მოახდინა თქვენი ხელმძღვანელების გამჭრიახობამ და პრაქტიკულმა სიბრძნემ, რომლებიც ცვლიდნენ თავიანთ ტაქტიკას და ეგუებოდნენ მომენტის საჭიროებებსა და გარემოებებს, ამასთან არ თმობდნენ სანუკვარ იდეალებს. ეს მისაბაძი მაგალითი გახდა სხვა ქვეყნებისათვის, როგორც კიდევაც ჩანს თქვენი პარტიის XXIII კონგრესზე გამართული მსჯელობიდან. ჩვენ ინდოეთში დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს ამ ყრილობას — როგორც ფართო სიერთაშორისო მხარდაჭერის გამო, რომლითაც იგი სარგებლობდა, ისე მშვიდობიანი მშენებლობისათვის მოწოდებასთან დაკავშირებით, რომლითაც იგი დამთავრდა.

საბჭოთა შვიდწლიანი გეგმის შესრულების საქმეში დიდი მიღწევები აღინიშნა ყველა დარგში. თქვენი ბრწყინვალე წარმატებანი კოსმოსის საიდუმლოებათა შეცნობაში თქვენი დიადი პროგრესის მხოლოდ ერთ-ერთი სიმბოლოა. ნება მიბოძეთ ინდოელი ხალხის სახელით მოგილოცოთ თქვენ, საბჭოთა ხალხს, ეს შესანიშნავი მიღწევა. ჩვენ ვიზიარებთ თქვენს სიამაყეს თქვენი მეცნიერებისა და კოსმონავტების ოსტატობისა და შემართების გამო, რადგან ბუნების დამორჩილება ჰოელი კაცობრიობის გამარჯვებაა.

ჩვენ ინდოეთში აგრეთვე ვაღწევთ, სულ სხვაგვარად, გარკვეულ მიზნებს, რომლებიც ჩვენ ხალხს სულ ამ ცოტა ხნის წინათ მიუღწეველად მიაჩნდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვლილ 19 წელიწადში ცხოვრება ინდოეთში შესამჩნევად შეიცვალა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თითქმის გაორკეცდა. — 27 წლიდან 50 წლამდე. ჩვენ თითქმის მთლიანად მოვსპეთ მალარია, რომელიც ოდესღაც წელიწადში მილიონ სიცოცხლეს იწირავდა. 70 მილიონი გოგონა და ბიჭუნა დადის სკოლაში, ტექნიკურ სასწავლებლებში მიღება ხუთჯერ გაიზარდა. ელექტროენერგიის გამომუშავება შვიდჯერ გადიდდა. ელექტროგანათება არის დაახლოებით 45 ათას სოფელში — თუმცა ეს ჩვენი ქვეყნის მხოლოდ მცირე ნაწილია. სარწყავი მიწების საერთო ფართობი გაორკეცდა. ფოლადის წარმოება 1,2 მილიონი ტონიდან თითქმის 9 მილიონ ტონამდე გადიდდა.

ათი წლის წინათ ორი ჰატარა სოფლის — ბჰილაისა და ჰატიის, რანჩის მახლობლად, გლეხები მიწას ამუშავებდნენ, ისევე როგორც მათი წინაპრები მრავალი საუკუნის მანძილზე. დღეს ბჰილაი მეტალურგიული მრეწველობის მძლავრი ცენტრი გახდა, ჰატია კი — დიდი მანქანათსამშენებლო კომპლექსის ცენტრი. საბჭოთა კავშირი დაგვეხმარა ამ ორი პროექტის განხორციელებაში.

მიუხედავად ამისა ჩვენ ბევრ პრობლემას ვაწყდებით. წლევანდელი წელი განსაკუთრებით კრიზისული იყო გარემოებათა თავისებური შეხამების გამო. გაწვლილ წელს პირველი და ყველაზე დიდმნიშვნელოვანი გარემოება იყო უმაგალითო ვალვა წვიმების უპრეცედენტო მოუსვლელობის შედეგად. ჩვენს ქვეყანას არ ახსოვს ასეთი სერიოზული და ფართოდ გავრცელებული გვალვა. მოსავალი მოიპარ, სურსათისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ნაკლებობამ დიდი სიძნელეები გამოიწვია.

შემდეგ, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სამჯერ, ინდოეთი ჩაითრიეს შეიარაღებულ კონფლიქტებში, რომლებიც თავს მოახვიეს მას. გარედან მუქარა, რაც კვლავ გრძელდება, ქმნის თავდაცვის ხარჯების გადიდების საჭიროებას. ჩვენ არ გვინდა თავდაცვის რესურსებზე გადავიყვანოთ რესურსები, მაგრამ მტაცებელ გვაქვს გადაწყვეტილი უზრუნველყოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა. მხოლოდ ასე შეიძლება განვაგრძოთ მშვიდობისა და კაცობრიობაში მონაწილეობის მიუღებლობის ჩვენი პოლიტიკა.

ამ მრავალრიცხოვანი პრობლემების მიუხედავად, ინდოელი ხალხის სულიერებაზე მხნეა, და მე დარწმუნებული ვარ, რომ მალე შევძლებთ ამ სიძნელეთა გადალახვას. თუ როგორი იყო ხალხის რეაგირება გვალვაზე, ამას მოწმობს პოზიტიური მოქმედების ბევრი აღმაფრთოვანებელი მაგალითი. ხორციელდება ფართო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მნიშვნელოვანი პროგრამა, რომლებშიც თითქმის სამი მილიონი კაცი მონაწილეობს. რაიონებში, სადაც შიმშილობაა, უკვე დამთავრდა მიწების მელიორაციის მთელი რიგი სამუშაოები და შექმნა სასოფლო-სამეურნეო კომპლექსები. ყოველივე ეს განამტკიცებს ჩვენს სასოფლო-სამეურნეო ბაზას.

ჩვენ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ვანიჭებთ სოფლის მეურნეობას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სურსათის წარმოება 75 პროცენტით გაადიდეთ, მაგრამ ასეთი გადიდებაც კი არ არის საკმარისი სწრაფად მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მოსახლეობის რიცხვი მომავალ წელს 500 მილიონს მიაღწევს.

ჩვენი ახალი პოლიტიკა სოფლის მეურნეობის დარგში ითვალისწინებს დიდი რაოდენობით გამოვიყენოთ სასუქები გაუმჯობესებული ჯიშების თესლთან ერთად სარწყავ მიწებზე და საკმაო ნაკლოვანებანი რაიონებში. თქვენი დახმარებით ვაპირებთ შეექმნათ მთელი რიგი სახელმწიფო სასელექციო ფერმები იმისათვის, რომ ფერმერს შეეძლოს მიიღოს გაუმჯობესებული ჯიშების თესლი. ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში აგრეთვე პრობაგანდას ეუწევთ ხელოვნური რწყვის გამოყენებლად მიწების დამუშავების გაუმჯობესებულ მეთოდებს.

სოფლის მეურნეობას საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მარტო იგი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. თუ გვინდა უზრუნველყოთ სრული დასაქმება და აოსებითად ავამაღლოთ ცხოვრების დონე, უნდა ავაშენოთ დიდი და ქმედითი სამრეწველო საზოგადოება. საბედნიეროდ, ინდოეთს უაღრესად მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები და უზარმაზარი საბაზრო პოტენციალი აქვს. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მრავალდარგოვანი სამრეწველო სისტემისა და მსხვილ საწარმოთა შექმნის ხელშეწყობ პირობებს.

სამრეწველო წარმოების მასშტაბები და გაქანება მართლაც ძლიერ გადიდდა. ახლა ჩვენ ვუშვებთ სულ სხვადასხვა მანქანებს, ჩარხებს, ქიმიკალიებს, ნავთობპროდუქტებს, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ მოწყობილობას და ფართო მოხმარების ძირითად საქონელს. აქედან ბევრი რამ ჩვენი საკუთარი რესურსებითა და ცოდნით შეგქმენით. 15 წელიწადში სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა 2,5-ჯერ გაიზარდა. მრეწველობის ზემოაღნიშნული ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი დარგი კიდევ უფრო გაიზარდა. მრეწველობის ბევრი ძირითადი დარგის განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სახელმწიფო სექტორმა.

ამ ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად განმტკიცდა ინფრასტრუქტურა. დიდად განვითარდა ენერგეტიკა და ტრანსპორტი. დიდი გაქანებით ვითარდება ტექნიკური სწავლება. განხორციელდა სოციალური და კონსტიტუციური ხასიათის მთელი რიგი ცვლილებები. სოფლის მეურნეობაში შუამავლები მოვსპეთ და ინდოეთის დიდ რაიონებში მიწა გადავიდა იმათ ხელში, ვინც მას ამუშავებს. განხორციელდა აგრეთვე სხვა აგრარული რეფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიწათსარგებლობის საიმედოობას და საიჯარო გადასახადის მყარ ოდენობას, სხვა რეფორმები კი განხორციელების სხვადასხვა სტადიაშია. მოხდა ადგილობრივი ადმინისტრაციის დეცენტრალიზაცია. იქმნება ადგილობრივი ინიციატივის გამოვლინების სულ უფრო მეტი ახალი შესაძლებლობანი, და ის შესანიშნავი წარმატებები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის მომსახურების, აგრეთვე სხვადასხვა შტატში საწარმოო და გამსაღებელი კოოპერატივ

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა ურღვევი მეგობრობა

(დასასრული)

ამ დიდი ინტერესისათვის, რომელსაც ჩვენენ, როცა ცდილობენ ხელი შეგვიწყონ ამ მშვენებლობასთან დაკავშირებული იმედების განხორციელებაში. ამ კენტრის მოწყობილობის მნიშვნელოვან ნაწილს მივიღებთ ინდოეთის მახლობლად მდებარე მანქანათსამშენებლო ქარხნიდან, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება, რაც უკვე აღვნიშნე. ახლა დავიწყეთ მანქანათმშენებელი მანქანების გამოშვება და ასევე ვცდილობთ გავამრავლოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი ტექნიკოსთა და კონსტრუქტორთა კადრები. ამ მხრივაც ბოკაროს მეტალურგიული ცენტრი ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ნაყოფიერი თანამშრომლობის მწყანვალე სიმბოლო იქნება.

ინდოეთი გატაცებულია მშვიდობიანი განვითარების ამოცანებით. იგი აწარმოებს ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე გაბრწყინებულ და დიდმნიშვნელოვან ბრძოლას — ბრძოლას სიღარიბესთან. ხალხები ყველგან თავისუფლდებიან, თუმცა კოლონიალიზმისა და რასობრივი ჩაგვრის ზოგიერთი შავი ლაქა ჯერ კიდევ ამახინჯებს დედამიწის, რუკას.

მაგრამ პოლიტიკური თავისუფლება სრული არ არის და თითქმის უაზრო, თუ ქვეყანას არა აქვს ეკონომიური დამოუკიდებლობა. და სანამ არ მოვიგებთ ბრძოლას ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, ახლად წარმოშობილ ერებზე— განვითარებულ ქვეყნებზე გარედან მოახდენენ ზეგავლენას, რომელსაც ისინი წინააღმდეგობას უნდა უწევდნენ. ახალ დაძაბულობას ქმნის აგრეთვე განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის, რომელიც სულ უფრო იზრდება. საერთაშორისო ეკონომიურმა დიპლომატიამ ამოცანად უნდა დაისახოს ამ დაძაბულობის შენელება. ამასთან დაკავშირებით ინდოეთი, თუმცა თვითონ განიცდის განვითარების სიძნელეებს, ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს და დაეხმაროს აზიისა და აფრიკის სხვა განვითარებადს ქვეყნებს. ჩვენი ეკონომიკის განვითარების კვალობაზე უფრო მეტი საშუალება გვექნება გავხარდოთ ჩვენი წვლილი.

მსოფლიო რაც უფრო მალე მოიშორებს ომებსა და შიშს, მით უფრო მალე განთავისუფლდება სიღარიბისაგან. აი რატომ არის, რომ ინდოეთი განუხრელად, მას შემდეგ, რაც მიიღო დამოუკიდებლობა, უჭერს მხარს მიუმხრობლობასა და მშვიდობიან თანაარსებობას. მთელი ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა აგებულია ოთხ საყრდენზე. ეს არის სოციალიზმი, დემოკრატია, სახელმწიფოს საერო ხასიათი და მიუმხრობლობა. ჩვენ მტკიცედ ვიცავთ ამ პრინციპებს და რაც წლები გადის, სიხარულით ვრწმუნდებით, რომ ამ პრინციპებს სულ უფრო მეტად აღიარებენ მთელ მსოფლიოში.

ზოგიერთის აზრით, მიუმხრობლობამ უკვე შეასრულა თავისი როლი და არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება. ეს საერთაშორისო მდგომარეობის არასწორი გაგებაა. დამარცხდა ბლოკებს მიმხრობის პოლიტიკა და არა მიუმხრობლობის პოლიტიკა. ამას მოწმობს სეატოსა და სენტოს დაშლა. შესაძლოა შეიცვალა უთანხმოებათა ხასიათი ამ დაჯგუფებებში, მაგრამ უთანხმოებანი კვლავ არსებობს. რაც შეეხება მიუმხრობლობის პოლიტიკას, რომელსაც ვერ აბრკოლებს რასობრივი და რეგიონალური ბარიერები და ის ბარიერები, რომლებიც ყოფენ მეტოქე სახელმწიფოთა ბლოკებს, ამ პოლიტიკამ უფრო დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ამ დაძაბულობის შენელებაში, უშიშროების უზრუნველყოფაში, ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების და ჩვენი მშფოთვარე მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში.

ვნახოთ, რა ხდება აზიასა და აფრიკაში. ეს არის კონტინენტები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლდნენ კოლონიალიზმისაგან, სადაც ცხოვრობს მრავალი ახალგაზრდა ერი, რომლებიც სოციალური და ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონეზე არიან. ყველას აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი — ნაციონალიზმი, ეროვნული თავისთავადობის გრძნობა, სიამაყე და ეროვნულ მისწრაფებათა იმედი. არის აგრეთვე რეგიონალური ნაციონალიზმის უფრო ფართო ნაკადები, როგორიც არის, მაგალითად, არაბთა ამაყი და მძლავრი ნაციონალიზმი. როცა ნაციონალიზმი მეტისმეტად ვლინდება, ეს გამოვლინება კატეგორიული და მშფოთვარეა. მისი უგულებელყოფა არ შეიძლება.

არ უნდა გვიკვირდეს, რომ საფრთხისა და საერთაშორისო დაძაბულობის ცენტრმა ევროპიდან გადაინაცვლა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი, ეგრეთწოდებული „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში. სწორედ აქ ვხედავთ დაძაბულობას, რომელიც წარმოშვა არათანაბარი ზრდისა და განვითარების სენმა, ნაციონალისტური გრძნობების აღმავლობამ, საგარეოეკონომიურმა ზეგავლენამ, ინტრიგებმა, ძირგამმთხრელმა საქმიანობამ და სახელმწიფო გადატრიალებებმა. ზოგიერთი სახელმწიფო სწორედ აქ ცდილობს შექმნას და გააძლიეროს დაძაბულობა, განზრახ სცემს ლახვარს მიუმხრობლობის პრინციპს და უარყოფს მშვიდობიან თანაარსებობას.

ინდოეთი აზიის სახელმწიფოა. ამიტომ მინდა ახლა ვილაპარაკო აზიაზე, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე.

ვიეტნამის ტრაგედიამ საშინლად გვატკინა გული. ომით ვერაფერს ვერ მიაღწევ. ომი მხოლოდ გაფართოებას უბედურებისა და ნგრევის რაიონს და მრავალი წლით გააუარესებს ქვეყნების ურთიერთობას. ვიეტნამი ახლა თოფისწამლის კასრია. ყოველგვარ ესკალაციას შეუძლია მნიშვნელოვნად გაფართოოს და გაამწვავოს კონფლიქტი, ამას კი სერიოზული შედეგები მოჰყვება მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. მშვიდობიანი მოწესრიგების ალტერნატივა არ არსებობს, და მხოლოდ ამ მიმართულებით უნდა წარმართოთ მთელი ჩვენი ძალები.

ჩვენ, ინდოელები, რა თქმა უნდა, გულგრილი მეთვალყურენი ვერ ვქნებით. როცა ალშია გახვეული აზიის მთელი რაიონი. ვერც ერთ სახელმწიფოს ვერ მივცემთ უფლებას გადაეღობოს მშვიდობის გზას. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ გადავწყვიტე დელიდან გამომგზავრების წინ წარსულ კვირაში გამომეთქვა ჩემი ზოგიერთი აზრი.

თითქმის მთელი მსოფლიო ერთსულოვნად დარწმუნდა, რომ მოქმედების საუკეთესო და, შესაძლოა, ერთადერთი კონსტრუქციული საშუალებაა ყველა დაინტერესებული მხარის, ვიმეორებ, უკლებლივ ყველა დაინტერესებული მხარის შეკრება თათბირზე, რომელიც უნდა მოეწყოს ჟენევის შეთანხმების ფარგლებში. ამავე დროს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ეს შექმნის ხელშემწყობ ატმოსფეროს, რომ მოეწყოს თათბირი და სწრაფად შეწყდეს საომარი მოქმედება, აგრეთვე მთლიანად გაყვანილ იქნან უცხოელთის მთელი ჯარები და სხვა პერსონალი ვიეტნამიდან, ჟენევის შეთანხმების შესაბამისად.

ამ წინადადებებში, არსებითად, ახალი არაფერია. ჩვენ არ ვაპირებთ წარმოვადგინოთ ისინი ერთიან კომპლექსად, ან რაიმე მტკიცე ფორმულად. შესაძლებელია უფრო შესაფერი ან უფრო მისაღები ალტერნატივებიც. თუ ასეთი ალტერნატივები წამოყენებულ იქნება, ჩვენ ხალისით დავუჭერთ მათ მხარს. ახლანდელ მომენტში ჩვენი ერთადერთი მიზანია ყველას ყურადღება მივაპყროთ რაღაც მარტივ, ძირითად წინადადებებს და გამოვრიცხოთ შესაძლებლობა ომის ესკალაციისა და შემდგომი ნგრევისა, რომლებიც გარდუვალია კონფლიქტის გაჭიანურებისას. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ჩვენი აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა თათბირის მოწვევა ვიეტნამის საკითხზე იმავე კონსტრუქციული სულისკვეთებით, რომელმაც თქვენ გიკარნახათ მოგემართათ წინადადებით ტაშკენტის თათბირის მოწვევის შესახებ.

მშვიდობა ვიეტნამში დიდად შეუწყობდა ხელს სტაბილურობის მიღწევას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. სადაც, მსოფლიოს მეტი წილი სხვა რაიონების მსგავსად, ცვლილებები ხდება. მოხარული ვართ, რომ მალაიზიისა და ინდონეზიის ბრძოლა დასასრულს უახლოვდება. და ვიმედოვნებთ, რომ ეს ხელს შეუწყობს მშვიდობის ზონის გაფართოებასა და მიუმხრობლობის პრინციპის განმტკიცებას.

არანაკლებ აქტუალურია ჩვენი ინტერესი დასავლეთ აზიისა და აფრიკისადმი. კოლონიალიზმისა და რასიზმის მბეჭუტავი ნაკვერჩხალი ჯერ თითქოს მთლად არ ჩაუქრია ცვლილებათა ქარის ქროლვას, მაგრამ ქრება. სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობაში ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო ამ სამარცხვინო წარსულის ნამთებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ზიმბაბვეს, სამხრეთ აფრიკის, ანგოლის, მოზამბიკის, ეგრეთწოდებული „პორტუგალიის“ გვინეის, სამხრეთ არაბეთის, ადენისა და სხვა დამოკიდებულ ტერიტორიათა ხალხებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ჩვენ სრულად ვერ ჩავთვლით საკუთარ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, სანამ კოლონიურ უღელქვეშ მყოფი ყველა დანარჩენი ქვეყანა არ მოიპოვებს თავისუფლებას.

აზიასა და აფრიკაში მოქმედებენ გარკვეული რეაქციული ძალები. ზოგი ცდილობს თავისი ვიწრო პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს რელიგია, სხვები ცდილობენ გავლენა მოახდინონ იმათ გრძნობებზე, ვინც სოციალურ და ეკონომიურ პრივილეგიებს ებღაუჭება. საკმარისი როდია ამ ძალების მარტოოდენ დაგმობა. ისინი შეიძლება დავაყენოთ დადებითი მიმართულებით განვითარების გზაზე, და ამას ხელი უნდა მოჰკიდოთ პროგრესულმა ძალებმა.

ჩინეთი და პაკისტანი ჩვენი ახლო მეზობლებია. ჩვენ სიკეთეს ვუსურვებთ მათ და არა გვაქვს რაიმე სხვა ურთიერთობის პრეტენზია, გარდა კეთილმეზობლური ურთიერთობისა. ჩვენ ყოველ მომენტში ხალისით დავდებთ ჩინეთთან სამართლიან შეთანხმებას, რომელიც არ შელახავს ჩვენს ღირსებას.

ჩვენი შარშანდელი კონფლიქტი პაკისტანთან ჩვენი მიზეზით როდი წარმოიშვა. ჩვენ მადლობელი ვართ საბჭოთა მთავრობისა და, განსაკუთრებით თავმჯდომარე კოსიგინისა. მოთმინებისათვის, რაც მან ტაშკენტის თათბირის მოწყობის დროს გამოიჩინა.

ინდოეთი ლოიალურად იცავს ტაშკენტის დეკლარაციას და დაინტერესებულია განუხრელად სრულდებოდეს მისი ფორმა და შინაარსი. განსვენებული პრემიერ-მინისტრი შასტრი იმედოვნებდა, რომ ტაშკენტის შეხვედრა შემობრუნების პუნქტი იქნებოდა ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობაში. ტაშკენტის დეკლარაცია შესანიშნავი დოკუმენტია, რადგან ორივე მხარე უარს ამბობს ძალის გამოყენებაზე მომავალში უთანხმოებათა წარმოშობის დროს.

ტაშკენტის დეკლარაცია მშვიდობიანი თანაარსებობის მანიფესტია. იგი შეიცავს სახელმწიფოთა კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების პოსტულატებს. ჩვენ, ინდოელები, ბოროტად როდი ვართ განწყობილი პაკისტანის მიმართ. მუდამ მზად ვართ გავაფართოოთ მეგობრული კონტაქტები ჩვენს ორ ქვეყანასა და ხალხს შორის კულტურული გაცვლის, ეკონომიური თანამშრომლობის გზით, მოგზაურობის თუ სატრანზიტო მგზავრობის შეზღუდვათა შემცირების და ბევრი სხვა გზით. დარწმუნებული ვარ, რომ ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობაში არ არის ისეთი უთანხმოებანი, რომელთა მოწესრიგებაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი საშუალებით, რომელიც არ შელახავს ორი სახელმწიფოს ღირსებასა და ინტერესებს. ჩვენ მეგობრობის ხელს ვუწვდით პაკისტანს და იმედი გვაქვს, რომ იგი უყოყმანოდ მიიღებს ამას. ჩვენ მზად ვართ შევხვდეთ პაკისტანის წარმომადგენლებს ყოველ დონეზე, რათა განვიხილოთ ჩვენი პრობლემები და გამოვნახოთ მათი სამართლიანი და საპატიო გადაჭრა.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჩვენს და მთელი კაცობრიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ეს არის საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ატომური იარაღის გაუვრცელებლობა, როგორც ასეთი, არ შეიძლება თვითმიზანი იყოს. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ შუალედი ეტაპი, რომელიც გააადვილებს ატომურ განიარაღებაზე გადასვლას. ვერც ინდოეთი, ვერც რომელიმე სხვა ქვეყანა ცალმხრივად ვერ შეიზღუდავს თავს შეიარაღების დარგში, თუ ამასთანავე ატომური სახელმწიფოები განაგრძობენ ატომური იარაღის გავრცელებას, არ შეწყვეტენ შეიარაღებას და არ მიაღწევენ გონივრულ შეთანხმებას შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოლაპარაკება ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის აკრძალვის შესახებ გადაიქცევა ოფიციალურ საერთაშორისო შეთანხმებად.

ამავე დროს ზოგიერთი ატომური სახელმწიფო საფრთხეს უქმნის მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. თუმცა საერთაშორისო გარანტია, რომელიც დაიცავდა მიუმხრობელ, არაატომურ სახელმწიფოებს ატომური თავდასხმის საფრთხისაგან, შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო, ჩვენ საკმარისად არ მიგვაჩნია ასეთი გარანტია. უატომო ზონების შექმნა აგრეთვე მთლიანად ვერ გადაჭრის ძირითად პრობლემას. ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ატომური განიარაღების პრობლემაზე ნამდვილი პასუხია საყოველთაო და სრული განიარაღება. საჭიროა დაუყოვნებლივ განვიხილოთ ეს პრობლემა, რომელიც მთელ მსოფლიოს შეეხება.

მსოფლიო ერთ-ერთ ფუძემდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე აგებულ. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით განვემტკიცებინა ეს ორგანიზაცია და, ჩინეთთან ჩვენი უთანხმოების მიუხედავად, კვლავ მხარს ვუჭერდით იმ პრინციპს, რომ ყველა ქვეყანა იყოს ამ ორგანიზაციის წევრი. ჩვენ აგრეთვე მიგვაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურა უფრო სამართლიანად უნდა ასახავდეს მსოფლიოში შექმნილ ახლანდელ მდგომარეობას, რომელიც ძლიერ შეიცვალა 1945 წლიდან, რადგან მას შემდეგ აზიისა და აფრიკის ბევრმა სახელმწიფომ მოიპოვა თავისუფლება. ეს ახალი ქვეყნები იმის ღირსი არიან, რომ უკეთ იყონ წარმოდგენილი გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოში.

ჩვენი მოლაპარაკება თავმჯდომარე კოსიგინთან და მის კოლეგებთან ამ და ბევრ სხვა საკითხზე გულახდილი, მეგობრული და ნაყოფიერი იყო. ჩემთვის ეს ვიზიტი განსაკუთრებით მდიდარი გამოცდილებაა არა მარტო იმის გამო, რომ თქვენმა ხელმძღვანელებმა გაგება და სახელმწიფოებრივი სიბრძნე გამოიჩინეს, არამედ იმის გამოც, რომ მე დავინახე დიდი საბჭოთა ხალხის გულწრფელი მეგობრობა და მისწრაფება მშვიდობისადმი.

ინდოელ ხალხს ახარებს თქვენი წარმატებანი და თქვენი პროგრესი.

დაე განმტკიცდეს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა!

დაე ჩვენი ორი სახელმწიფოსა და ყველა სხვა მეგობარი სახელმწიფოს თანამშრომლობამ ხელი შეუწყოს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობას!

* * *

ა. ნ. კოსიგინისა და ინდირა განდის სიტყვების დროს არაერთგზის გაისმა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

მიტინგი დამთავრდა. მისი მონაწილენი ფეხზე დგებიან და მხურვალედ მიესალმებიან მეგობარი სახელმწიფოს მთავრობის მეთაურს და მისი სახით დიდ შრომისმოყვარე ინდოელ ხალხს, სულითა და გულით უსურვებენ მას მშვიდობასა და ბედნიერებას, შემდგომ წარმატებებს დამოუკიდებელი ინდოეთის მშენებლობაში.

დარბაზში გაისმის შეძახილები. გამარჯვებას უსურვებენ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურღვევ მეგობრობას, ორი სახელმწიფოს ხალხებს, ინდირა განდისა და საბჭოთა ხელმძღვანელებს.

(საკდესი).

სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხთან

საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული

პარიზი, 14 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი **ა. მანიენიანი** იუწყება: ეროვნულ დღესასწაულთან — ბաստილიის აღების დღესთან დაკავშირებით პარიზი საღღესასწაულოდ მორთულია. ყველგან გამოფენილია თეთრ-ლურჯ-წითელი სახელმწიფო ალმები და ტრადიციული ფერად-ფერადი ფარნები. ბასტილიის აღების 177-ე წლისთავის ღღესასწაული დაიწყო ჯერ კიდევ გუშინ საღამოს, მხიარულება გვიან ღამედე გაგრძელდა.

ამ დღეს, თავისუფლების ღღესასწაულს, ფრანგები განსაკუთრებული სიხარულით აღნიშნავენ. მაგრამ ამ საზეიმო მომენტშიც კი არ იავიწყებენ სერიოზულ პრობლემებს: ბევრი მერიის შენობებზე მუშათა უბნებში გამოფენილია პლაკატები მოთხოვნით „დავუბრუნდეთ რესპუბლიკურ თავისუფლებებს“ და „დავამყაროთ ნამდვილი დემოკრატია“.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

პარიზი, 14 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ჟ. პომპიდუმ და საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. კუვ დე მიურვილმა სხდომას გააცნეს იმ მოლაპარაკების შინაარსი, რომელსაც ისინი 6-8 ივლისს აწარმოებდნენ ლონდონში პრემიერ-მინისტრ ჰ. ვილსონთან და ლეიბორისტული კაბინეტის სხვა წევრებთან.

მ. კუვ დე მიურვილმა მიმოიხილა განვლილი ერთი კვირის საერთაშორისო ამბები.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 14 ივლისი. (საკდესი). ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი პოლტი გუშინ ჩამოვიდა ლონდონიდან, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჰ. ვილსონთან. ეს პოლტის მეორე ვიზიტია ვაშინგტონში უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე.

გუშინვე თეთრ სახლში გაიმართა პრეზიდენტ ჯონსონის შეხვედრა ჰოლტთან. ფიქრობენ, რომ მათ განიხილეს ფართო წრე პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია ვიეტნამის ომთან. ამ შეხვედრის შემდეგ ჰოლტი კვლავ შეხვდა ჯონსონს სადილზე პრეზიდენტის იახტზე „სეკვოია“.

ა. ა. როშჩინის განცხადება

ჟენევა, 13 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჟენევაში იმ სავალალო მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია, რომელიც 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში შეიქმნა, — განაცხადა დღეს სსრ კავშირის წარმომადგენელმა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში ა. ა. როშჩინმა.

საბჭოთა წარმომადგენელმა სიტყვა წარმოთქვა სადილზე, რომელიც მის პატივსაცემად გამართა ერთა სასახლესთან აკრედიტებულ ელჩთა ასოციაციამ.

ლ. ჯონსონის მაქმენელა

ვაშინგტონი, 13 ივლისი. (საკდესი). პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა აღიარა, შეერთებული შტატების მიერ „გაჩაღებული ომი ვიეტნამში „შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს“. სიტყვაში, რომელიც გუშინ ვაშინგტონიდან ტელეფონით გადასცეს დასავლეთ ვირჯინიის შტატში მასწავლებელთა ორგანიზაციის სხდომის მონაწილეებისათვის, მან კვლავ განაცხადა, შეერთებულ შტატებს გადაწყვეტილი აქვთ შეასრულონ „ეზიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებანიო“.

ინდოეთი. დელი. პარლამენტის შენობა.



საკდესის ფოტოკრონიკა.

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა

ამერიკელ ელჩთა ასოციაციის ბანკეტი

ჟენევა, 13 ივლისი. (საკდესი). ამერიკელ ელჩთა ასოციაციის ბანკეტზე, ჟენევაში, ა. ა. როშჩინმა ბრძოლა გამოუცხადა

„კომუნისტის“, საკავშირო, აასრ-ის კორესპონდენტები გვატყობინებენ

კომუნისტი

ამგვეგი • ცნობები

ქართველი მოცეკვავეები ინგლისში

ლონდონის ქუჩებში გამოკრული მრავალი აფიშა და გაზეთების განცხადებანი იუწყებიან, რომ 25 ივლისს ლონდონის „როიელ ფესტივალ ჰოლში“ იწყება საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლები. ხალხი ამ გამოსვლებს უდიდესი მოუთმენლობით ელის. მაგრამ ავტომშენებელთა, დოკერთა და მეზღვაურთა რაიონის ბარკინგის მცხოვრებთ ბედნიერება ჰქონდათ გაცილებით უფრო ადრე ენახათ საბჭოთა კოლექტივი. 8 ივლისს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დარბაზში გაიმართა პირველი კონცერტი. სცენაზე მოცეკვაყვთა გამოჩენის მომენტიდანვე დარბაზში თითქმის არ შეწყვეტილა ტაში. ხოლო როცა მოცეკვავენი ასრულებდნენ „ჭყირანს“, „მხედრულს“, „სიმდს“, „ქართულს“, ტაში ისეთ მჭუხარე ოვაციად იქცა, რომ გეგონებოდათ, დარბაზის თაღი ვერ გაუძლებსო. მაგრამ მაინც ყველაზე დიდი წარმატება ხვდა იუმორისტულ ცეკვა „ლელოს“. დარბაზი ლამის აფეთქდა ხარხარისაგან. სიცილი მთელი ცეკვის განმავლობაში არ შეწყვეტილა.

— ჩვენ ვიცოდით, რომ ინგლისში გულთბილი შეხვედრა გველოდა, — თქვა ანსამბლის ხელმძღვანელმა ილიკო სუხიშვილმა პირველი გამოსვლის შემდეგ. — მაგრამ იმან, რაც დღეს მოხდა, ჩვენს ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. ინგლისის სხვადასხვა ქალაქში სამოცი კონცერტი გველის. იმედი გვაქვს, რომ დღევანდელის მსგავსი წარმატება მუდამ გვექნება ინგლისში მოგზაურობისას.

კონცერტის შემდეგ კულისებში შეეიდა ბარკინგის მერი ბ-ნი ჩეპმენი. იგი აღელვებით მიესალმა მსახიობებს და თქვა, რაიონის მცხოვრებთათვის დიდი პატივი იყო, ანსამბლის მსახიობები ლონდონში პირველმა რომ ნახეს.

ბარკინგში გამართული კონცერტების დამთავრებისთანავე კოლექტივი გაემგზავრა ქალაქ სანდერლენდში, სადაც ქართველი მოცეკვავენი ორ კვირას დაჰყოფენ.

ა. უგლოვი,
აასრ-ის საკ. კორ.

ლონდონი.
(ტელეფონით).

მოკლედ

△ ქობულეთი. (საკ. კორ.). დაბურული ხეივნებით, მოასფალტებული გზებით, თვთრად მოქათქათე ქვიტკირის მრავალსართულიანი სახლებით დამშვენდა ზღვისპირა დაბა ჩაქვი. იგი გამორჩევა საკურორტო ზონის კლიმატური პირობებით, ზღვისა და მთის შეზავებული პაერით.

ჩაქველებმა ამ დღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს. საექსპლოატაციოდ გადაეცა უნივერმაღის კეთილმოწყობილი შენობა.

△ ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ წევრმა მერი ჯაბურიამ რაიონის ცენტრალურ შემნახველ საოჯახოში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1966 წლის მეექვსე გამოშვების ლატარიის ბილეთი — სერია 15658, № 072, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“. („კომ.“ კორ.).



სვანეთი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უსამაზესი კუთხეა, თვალუწვდენელი მთები, ხეობები, მჭუხარე მდინარეები, ყველაფერი ეს ახარებს თვალს, და ვინც ერთხელ მაინც იხილავს ამ მთიან მხარეს, მთელი სიცოცხლის მანძილზე არ დავიწყებს.

სურათზე: მდინარე ენგურის ხეობაში მესტიის ახლოს.

ფოტო ს. კილაძისა.

ლიტერატურა ხალხის სამსახურში

საანგარიშო-საარჩევნო პრეგები მწერალთა კავშირის განყოფილებებში

◆

ბათუმი. (საკ. კორ.). გაიმართა ხაქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელზეც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ხალვაში.

საანგარიშო მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა პ. ლორიამ, ჯ. ჯაუელმა, გ. სალუქვაძემ, ი. მელიამ, ლ. სეიდიშვილმა, ნ. გვარიშვილმა, ი. ფაღავამ, კრიტიკოსმა შ. ქურიძემ, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ა. ტაკიძემ, ჟურნალ მნათობის რედაქტორმა მწერალმა გრ. აბაშიძემ.

კამათის მონაწილეები ფართოდ შეეხენ საბჭოთა მწერლების თანამედროვე ამოცანებს. ორატორებმა აღნიშნეს, რომ მხატვრული სიტყვის ოსტატებმა უნდა შექმნან ნაწარმოებები, რომლებშიც წამოყენებული იქნება თანამედროვეობის მწვავე პრობლემები. უფრო ფართოდ და უკეთ ასახონ ხაბჭოთა ადამიანების ცხოვრება და საქმიანობა.

კრებამ აირჩია მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ბიურო და ხაქართველოს საბჭოთა მწერალთა VI ყრილობის დელეგატები.

მიწისძვრის შემდეგ

კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე

სოჩი, 13 ივლისი. (საკადესის კორ.). 12 ივლისს გვიან საღამოს სეისმურმა სადგურმა „სოჭმა“ აღრიცხა ძლიერი მიწისძვრა ბიძგი. ინსტრუმენტული მონაცემებით, ეპიცენტრი მდებარეობს გელენჯიკ-ნოვოროსიისკის რაიონში. იქ მიწისძვრამ ექვს ბალს მიაღწია, სოჭის რაიონში კი 3-4 ბალს. სოჭში არაფერი არ დაზიანებულა.

კრასნოდარი, 14 ივლისი. (საკადესის კორ. ვ. კალეშჩევსკი). როგორც ეიუწყებოდით, 12 ივლისს 21 საათსა და 54 წუთზე სეისმურმა სადგურებმა მიწისძვრა ბიძგები აღრიცხეს კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე. მიწისძვრის ეპიცენტრი შორს იყო შავ ზღვაში, ქალაქებს ნოვოროსიისკსა და გელენჯიკს შუა მდებარე რაიონში. სადაც მიწისძვრამ ბიძგების სიძლიერე ექვს ბალს აღწევდა.

სოჭში, ტუაფსეში, გელენჯიკში, ნოვოროსიისკსა და შავი ზღვისპირეთის სხვა საკურორტო ქალაქებსა და დაბებში მიწისძვრამ უმნიშვნელო ზარალი გამოიწვია. ხალხი არ დაზიანებულა.

ღღეს კავკასიის მთელ სანაპიროზე, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ათეულ ათასობით დამსვენებლები, პიონერთა ბანაკებისა და ბავშვთა ჯანმრთელობის კერების პიონერები და მოსწავლეები სეირნობდნენ კავკასიის ღრმაწყლიანშავ ადგილებში, ბანაობდნენ და მზის აბაზანებს იღებდნენ. მუშაობს ყველა საავტო საწარმო და კულტურული დაწესებულება.

სოჭში, ტუაფსეში, გელენჯიკში, ანაპასა და სხვა საკურორტო ადგილებში თვითმფრინავებით, მატარებლებით, ავტობუსებით ჩავლენ დასასვენებლად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის ათასობით მშრომელი.

ერთად ზობა ზვიდი ბავშვი

პარიზი, 13 ივლისი. (ხაკადესი). ბომბების ჩრდილოეთით 320 კილომეტრზე გუჟერატის შტატის სოფელ ლაშხის მცხოვრებმა ქალმა ერთად შობა შვიდი ბავშვი. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იტყობინება, რომელიც იმოწმებს პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტოს, ბავშვები (ხუთი ვაჟი და ორი ქალი) თავს კარგად გრძნობენ.

რეზა ირგეზლივ კეთილ ხალხია

ნეგისყოფა იმარჯვებს

რედაქციაში მოვიდა წერილი: „ზეთ კომუნისტში“ დაბეჭდილმა კორესპონდენციამ „კეთილი ადამიანები“ მიიპყრო ჩემი ყურადღება და სულიერად ამაფორიაკა. ძალზე განვიცადე ნათელ ნარმაინას მდგომარეობა. შეიძლება იკითხოთ, რა არის ამაში გასაკვირველი, მაგრამ მე ნუ მეტყვით ამას. ჩემსავით არავის შეუძლია გიგოს ნათელან გულისტკივილი და განიცადოს მისი მდგომარეობა, რადგან მე ბუნებისაგან დაჩაგრული თითქმის. მის ბედს ვიზიარებ. მას შეშდგა სულ ვფიქრობდი მომეწერა თქვენთვის და მეცნობებინა ჩემი ცხოვრების ამბავი და ეი გზერთ კიდევ.

ზესტაფონი, ენგელსის ქ. № 16, ნანა ბაბლიკიძე“.

○ ○

რამ უფრო ეუახლოვდებოდი ზესტაფონს, მით უფრო ვღელავდი. ვფიქრობდი, რომ სადღაც პატარა სანლის მყუდრო ოთახში სარეცელზე წევს ახლა დარდისა და ტკივილებისაგან გატეხილი გიგონა და ღოდინით დაღლილი ქიმკარს გასცქერის. ან იქნება ადამიანებთან შეხვედრას გაურბის, გულჩათხრობილია და სიტყვაძუნწი.

...ვიწრო ორღობეში ბავშვები თამაშობდნენ. ღობის გადაღმა ბარმაგი ბერიკაცი ვაზს ნამხრეგებს აცილიდა. სკებთან ფუტკრები ზუზუნებდნენ, ზაბიამნით სავსე კასრში ჩახჩახა მზე ირეკლებოდა.

აგერ ის ქიმკარიც. ღია სარკმლიდან მუსიკის ხმა ისმოდა. ვიღაც უკრავდა ბახის პოლონეზს. კარი ღია იყო და ერთხანს დაბეჭული ვიდექი ზღურბლთან. პიანინოსთან დახრილი გიგონა უკრავდა. დიდრონი მეტყველი თვალები უბრწყინავდა. მოხდენილი თითები დასრიალებდა კლავიშებზე. ქათქათა საფოლაზე გადაწოლილ ენგინის ფურცლებს ქარი აფრიალებდა. ერთხანს გუსმენდი და ვფიქრობდი, ნუთუ ეს გიგონა ნანა ბამლიკიძეა?

მინდა გიამბოთ მის შესახებ ცოტა რამ. არ შეგცდები, თუ ვიტყვი, რომ თქვენ შეიყვარებთ ამ მშვენიერ, საოცრად ფაქიზ, პოეტური სულის გოგონას.

...ახლოს ნანას, მისი ტოლები ეზოს გადაღმა ქუჩაში თამაშობდნენ ლაბტაა და ტაფურიკს. გიგონებნი ნაწვიმარ მიწაზე ჯლისაა ხატავდნენ და ფეხშიშველა დახტოდნენ.

მაშინ ნანა პაწია ხელებით ეპატინებოდა ფანჯრის რაფას, რომ დაეხსნა ისინი. დეიდა რუსუდანი ტახტზე დასვამდა და გიგონა ხედავდა ბეღლის ტოტებში განაბულ ალიანას. მზიფე თუთა მიწაზე ცვიოდა, წითელი ბურთი კამარას შეკრავდა და მის თვალწინ კოიწდარში უჩინარდებოდა.

— ნანა!... აუუ... ნანა გადმოგვიგდე ბურთი რა... — ღობის ეუბრუტანაში ჩნდებოდა თეძურის და მედიკოს ატანეცილი, მოციცარი სახეები.

— დედა, წიგნალ, მეც ვითამაშებ...

მიიწევდა ქუჩაში ნანა. დედა სახეს არიდებდა და ჩუმად იწმენდდა ცრემლებს, ნანას მაინ არ ესმოდა. რა იყო ზუგრის ტკინის თანდაყოლილი თიაქარი. პატარა იყო და დიდი ტკივილები გადაეტანა.

სარკმელი, დიდი სარკმელი კინოეკრანს ჰგავდა. აქედან იწყებოდა საოცარი, ხელშეუხები ოცნებისა და აღქმის სამყარო.

უყვარდა თოვლის ფანტელების ყურება სარკმლიდან, როცა იმერული ოდები, მაღალი შიშველი ხეები თეთრად დაიბარდნებოდა. დილით ადრე ტოლები სკოლაში მიდიოდნენ. გაუკვლევ თოვლში წეროებივით მწკრივდებოდა მათი პატარა ნაფეხურები. რამხელა ჩანთები მიეკონდათ მერე! ენატრებოდა ეტარებინა ასეთი ჩანთა, წიგნებით, რვეულებით, ჩურჩხელებით სავსე. ძამა ბილიკს გაკვალავდა, ქიმკარს გააღებდა და ბქიდან შემოსცინებდა. მერე თოვლის გუნდას ეცროდა სარკმელს, მინაზე ფიფქები იცრემლებოდა. დართქლილ შუშაზე გიგონა პაწია თითით მატარებელს ხატავდა და კიდევ სასაცილო კაცნებს.

ძმას ხმამაღლა უყვარდა გაკვეთილების სწავლა, ისე ხმამაღლა, რომ ხანდახან ნანაც დაიზეპირებდა და ჩუმად თავისთვის ყვებოდა. სწავლის წყურვილმა თავისი გაიტანა. თუნდაც სკოლაში არ ვალა, მაგრამ მაინც მასთან ერთად შეძლო რვა კლასის კურსი გავლო.

მამამ პიანინო ეყიდა. აუტანელ ტკივილს ჰგვრიდა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ შეახებდა თუ არ კლავიშებს თითებს, ყველაფერი ავიწყდებოდა. ბეღურები თრთოდნენ, მღეროდნენ. პირველად სმენით ცდილობდა მელოდიის გამართვას. მუსიკა მალამსაკვით შეეხო მის ტკივილებს. მერე როცა მუსიკის ახბანი ისწავლა ჯიუტად მეცადინეობდა.

— ნანა, მე ვიცი, რომ შენს ცხოვრებაში ბევრი რამ იყო მტკივნეული და სევდიანი. თუნდაც ის ორი ოპერაცია, რომელმაც შედეგი არ მოპყოლია. მე კი მინდა ვიცოდე, როდის იყავი ყველაზე ბედნიერი.

— როცა პირველად ენახე ზღვა, — მიპასუხა მან.

— მშობლებმა ზღვაზე წამიყვანეს: მინდოდა შიშველი ფეხებით მერბინა ცხელ ქვიშაზე, მაგრამ...

აი როგორი ყოფილა გეოგრაფიის წიგნში ამოკითხული, პატარა რუკაზე დანახული ზღვა. არა მარტო აღვიქვი, არამედ ვიგრძენი მისი უკიდეგანო ძალა. მეჩვენებოდა, რომ ის უბრალოდ ყელის ვეებერთელა მასა კი არა, ცოცხალი არსება იყო, რომელიც სუნთქავდა, ცოცხლობდა თავისი დიდი მეღელვარე სიცოცხლით. ახალგაზრდები მიეურავდნენ, მერე რა შორს. მე მხოლოდ შემეძლო ხაპირზე ჩამომუხლა და მოფფრებოდი ამ მოუსვენარ ვერცხლისფერ ჭავლებს.

საღამოს საცეკვაო მოედანზე წავიდა ყველა, არასოდეს არ მინახავს, როგორ ცეკვავდნენ ახალგაზრდები. ძალიან მინდოდა მეც მათთან ერთად ვყოფილიყავი. თუნდაც მხოლოდ მაყურებლის როლში. მაღალი, მზით გარუჯული ჭაბუკი მომიახლოვდა. მთხოვა მეცეკვა მასთან. ის დაგვიანებით მოვიდა და არც ჩემი ყავარჯნები შეუნიშნავს. ვიგრძენი, რომ ყელში რაღაც მომეჯინა. არ იფიქრთო, რომ ცრემლები მომაწვა, ტირილს საერთოდ გადავეჩვიე. ხმის ამოღება ვერ შევძელი. მას ეწყინა და წავიდა. მერე ლამაზი ქერა გოგონა გაიწვია. რა კარგად ცეკვავდნენ!

თემური წამოიზარდა. მოხდენილი ბიჭი დადგა. კარგად სწავლობდა. სულ ცოტა, და მამას ამოუდგება მხარში. შეუმსუბუქებს შრომასო — ფიქრობდა ნანა, მაგრამ ძმა ავად გახდა. საკუთარი ტკივილები დავივწყე გოგონამ და გულის თრთოლვით ნატრობდა:

— „ოღონდ თემური მორჩეს და მე თუნდაც სამუდამოდ ფეიბარი დავრჩე“.

მამა გატყდა, ვეღარ გაუძლო. იმ დღეს გვიან დაბრუნდა ღამის რეისიდან. მატარებლის ძმიმე შემადგენლობა მშვიდობით მოიყვანა ზესტაფონის სადგურში. გიგონას ეგონა მამაზე ლეიფრი. და ღონიერი კაცი მთელ დედამიწაზე არ იყო. მაგრამ... ის წავიდა მათთან. როგორც ომგადახდილი ჯარისკაცი და კაცური კაცი. ოჯახს ბურჯი გამოეცალა. დ, რა დასამალავია, ძალიან გაუჭირდათ. დედამ თემური თბილისში სამკურნალოდ წაიყვანა. შინ მხოლოდ ნანა და დეიდა რუსუდანი დარჩნენ. ოჯახის ძნელბედობის ჟამს ნანას არ უნდოდა დარჩენილიყო ასე უმწეო და მიუსაფარი. გარიერაგზე დგებოდა. მოდუნებული კიდურები არ ემორჩილებოდა, მუხლები ეკვეთებოდა, მაგრამ მაინც უკრავდა ბახის, ბეთოვენის, ჩაიკოვსკის ეტიუდებს. იმედი, სიცოცხლის წყურვილი იგრძნობოდა მის დაკვრაში. საკუთარი ინდივიდუალური ხელწერა აქვს უკვე. საოცრად მგრძნობიარე გახდა მისი თითები. ნაოპერაციევი ნეგბახ არ აძლევს დიდხანს იჯდეს. მაგრამ ხელები ჯიუტად ეპაკერებოდა ტკივილს და დაღლას. სულ რამდენიმე დღე დარჩა გამოცდებამდე. ბეთჰოვენის ეტიუდი კარგად არა აქვს მომზადებული. ხელები უდუნდება. უნდა გაუძლოს, უნდა გაიმარჯვოს. სხვანაირად არ შეიძლება. — შენი ჭირიმე, დაიღლები, გოგო... — სწუხს დედა რუსუდანი. ნანა იღიმება და ჯიუტად იქნევს თავს.

მართლაც განსაცვიფრებელია. ორი კლასის მასალა ნანამ რამდენიმე თვეში დაძლია. მუსიკალურ შეიდწლედს რომ დაამთავრებს, ოცნებობს ტექნიკუმში განაგრძოს სწავლა. მუსიკის მასწავლებლები მთვარიდა ყიფიანი, შაზინა ხეციანი, ნანა კვინიკაძე ყურადღებას არ აკლებენ. შინ უწყობენ გამოცდას. მათ მიერ დაწერილი ხუთიანი აღალია. სულ მალე ნორჩებს ასწავლის მუსიკას. მერე ნახე, ჩემო ნანა, რამდენ სიხარულს მოგანიჭებენ პატარები, რამდენი საზრუნავი გაგიჩნდება.

ნანა ხელმარჯვე გოგონაა. მოხდენილი კაბების შეკერვაც ეხერხება. საკორწილო სამოსელს უფიდებს მეგობრებს. უნდა ძალიან ლამაზი და ბედნიერი იყონ ისინი.

ერთხელ წვიმა მოვიდა. ნანა უეცრად აფორიაქდა. პიანინოსთან მივიდა. სცადა გაუმართავი, მაგრამ გულწრფელი ბგერებით ეთქვა, რასაც განიცდიდა.

ნანა უკრავდა წვიმაზე. შხაპუნა წვიმაზე, უეცრად რომ მოგარდება შრიალით, გრუხუნით, ყანაში ალაღლიკით დაუქროლებს მზისფერ თავთუხებს, დაიფრთხობს ოლეებში შეფარულ მწყერებს. სოფლის გზაზე ბიჭსა და გოგოს წამოეწევა და თავშესაფარს მოაძებნინებს.

...კიდევ ბევრჯერ დაწერს და დაუკრავს ნანა წვიმაზეც, გაზაფხულზეც, მერცხლის ბუდეზე, სიყვარულზე. ჯერ მისი პალიტრა არც ისე მდიდარია. ოღონ ახალი ფერები შეეგებება, გამდიდრდება მისი მუსიკალური ლექსიკონი, მაშინ უკეთ იტყვის თავის სათქმელს...

კეთილი მეზობლები, მეგობრები თავს დასტრიალებენ. სითბო და სიყვარული რიდი აკლია. მაგრამ მაინც ნაადრევად გაჭაღარავდა. ის ხომ მხოლოდ ცხრამეტი წლისაა.

ნანას ყველაფერი კარგი და მშვენიერი აინტერესებს და აღელვებს. გატაცებული საუბრობს კოსმოსზე, ჭადრაკზე, ფერწერაზე. უყვარს ფიროსმანი; გალაკტიონი, თაყვანს სცემს ვაჟას.

ყველაფერზე უფრო ნანას მუსიკა და ადამიანები უყვარს. ეს ხომ არც გასაკვირველია. სწორედ ისინი დაეზმარენ იმაში, რომ ბრძოლა და სიცოცხლის ხალისი დაბრუნებოდა.

მისწერე წერილი, ნანა, ანუგეშე, უამეე შენი ცხოვრების შესახებ მესტიის რაიონის სოფელ იელში მცხოვრებ გოგონას კ. სამსიანს, გურჯაანელ ნიკო ქიტოშვილს, გორელ ნაირა იორამაშვილს, შინდისელ სიმონიშვილს.

მაგრამ ნუგეში მარტოოდენ მალამო. როდია. მათ მიხედვა, ზრუნვა, ყურადღება უნდათ. ანტუან სენტ-ეგზიუპერისა არ იყოს, ადამიანები, როგორც ყვავილებს მებადე ხეირდებათ. მჯერა, რომ მოვა ეს კეთილი მებადე და ახალ დიდ სიცოცხლეს დაუბრუნებს იმათ, ვინც სარეველზე მიჯაჭვული, ლოდინით დაღლილი, ვაკაცურად ებრძვის ავადმყოფობას. ჩვენს ქვეყანაში ადამიანისათვის ზრუნვა ყველაზე კეთილშობილური მოვალეობაა. ამიტომ არც ნანა, არც ნაირა, ნიკო და სხვები სითბოს, სიყვარულის და ზრუნვას მოკლებული არ დარჩებიან.

ნათელა ნარმანია განა კეთილი დასტაკრის ხელმა არ განკურნა? ნანამ მაჩვენა სათუთად შენახული ბაკრეცილი გაზეთის ფურცლები. შემეკითხა ნათელას შესახებ და ვიგრძენი— ამ წერილის კითხვაში ალბათ ბევრი უტირნია. ნათელას ხვედრი მისი ხვედრია. მისი ტკივილი და სიხარული — მახლობელი და გასაგები. აი რატომ გამოგვიგზავნა ბარათი.

შენ, ჩემო ნანა, ისე კარგი ხარ, ისე ალაღი, მინდა შენს დიდრონ თვალებში არასოდეს არ აკიაფდეს ცრემლი. სიცოცხლე, ადამიანები გიყვარს და შეგიძლია ჩვენი მამულის წმიდა საკურთხეველზე შენი წილი შრომით შექმნილი ნობათი მიიტანო.

ნანა ჯაფარიძე.

ზესტაფონი.

კიევშიც დამარცხდნენ

„დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი) 4:0 (1:0). კიევი. 14 ივლისი. რესპუბლიკური ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ა. ზვეერევი (ლენინგრადი).

დინამო“ (კიევი) — რუდაკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნინინი, ლევჩენკო, კრულიკოვსკი, ტურიანჩიკი, ბიშოვეცი, მუნტიანი, მედვიდი, ბიბა, ხმელნიცკი; „დინამო“ (თბილისი) — ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია (მაისურაძე), იამანიძე, მესხი.

ფეხბურთის თაყვანისმცემლებს დიდი ჯაფა ადგიათ. რასაკვირველია პირველ პლანზე მსოფლიო ჩემპიონატი დგას, მაგრამ ეს როდი ანელებს ინტერესს ჩვენი ქვეყნის პირველობისადმი.

მეჩვიდმეტე ტურის შეხვედრებიდან ყურადღებას ცენტრში იდგა კიევის მატჩი, სადაც ჩემპიონატის ლიდერები — ადგილობრივი დინამოელები თამაშობდნენ თბილისელ თანაკლუბელთა წინააღმდეგ.

კიეველებს ტრადიციისათვის არ უღალატნიათ. როგორც ჩვენს ცისფერ ეკრან ნებზე ვხედავდით, ისინი მოქმედებდნენ ინიციატივიანად, ტემპიანად, შემოქმედებითად. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. ეს მოხდა პირველი ტაიმის მე-14 წუთზე. საჯარიმო დარტყმა ჩინებულად გამოიყენა ბიბამ — 1:0.

მეორე ნახევარში მასპინძელთა იერიშებს მეტი სიმძაფრე ჰქონდა. 62-ე წუთზე ბიშოვეცმა, შემდეგ კი მედვიდმა და მუნტიანმა (პენალტი) 3 გოლით გაზარდეს ანგარიში. გაიმარჯვეს კიეველებმა 4:0.

თბილისელებმა ეს მატჩი კიევში, ისევე როგორც წინა შეხვედრა ოდესაში, ძალიან სუსტად ჩაატარეს. ყველა დაგვთანხმება, რომ ეჭს-ჩემპიონს ეს არ შეშვენის.

ლენინგრადი 14 ივლისი. (საკადესი).

ჩემპიონატის კულუარებში

ამ დროს, როდესაც ინგლისის მწვანე მოედნებზე გაჩაღებულია მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები, ტრიბუნაზე ბობოქრობენ მაყურებლები, ფეხბურთის მცოდნენი დავობენ, თუ ვის აქვს „ოქროს ქალღმერთის“ მოპოვების შანსები, პირველობის კულუარებში გაჩაღებულია ფეხბურთის ბიზნესმენების — „ვარსკვლავების“ გადამყიდველთა არანაკლებ მძაფრი, მაგრამ ნაკლებ საპატიო საქმიანობა.

ყველა გარს უტრიალებს „შავ მარგალიტს“ — პელეს. სწორედ მასზე პირველმა მიიტანა იერიში მილანოს ცნობილმა კლუბმა „ინტერნაციონალემ“. როგორც რეიტერის სააგენტომ გამოაცხადა, კლუბის წარმომადგენელმა მსოფლიოს ხაუკეთესო ფორვარდს მილიონი დოლარი შესთავაზა „ინტერნაციონალეში“ გადასვლისათვის.

მაგრამ გარიგება არ შედგა. „ჩემი მეგობრები ბრაზილიაში ცხოვრობენ, უსაზღვროდ მიყვარს ჩვენი მცხუნვარე მზე და არ ვიცი იტალიური ენა. რა მინდა იტალიაში? — კითხვას კითხვითვე უპასუხა ცნობილმა ფეხბურთელმა. „ამასთანავე, — ხუმრობით დასძინა მან, — ახლა ფული არ მიჭირს და არც ვხვდი იტალიელთა ეხოდენ ხაყვარელ ლვინოს...“

ნიკეს ღიმილი

△ — ამგობლენ, ახლა ნელა მოქმედებთ და უმაღლესი კლასის მცველისათვის „პრობლემაა“ ალარ წარმოადგენთ. უთხრა გარინჩას არც თე ძალიან მოოდებულმა რეპორტიორმა.

— არაფერია, — უპასუხა გარინჩამ. — ჩემი კლუბი „კორინტიანსი“ ყველაზე სწრაფია სან-პაულოში. მუხლი წესრიგზე მაქვს და მეც კარგად ვგრძნობ თავს.

— მაგრამ თქვენ ხომ უკვე 32 წლისა ხართ?

— მერე რა? თქვენ, ალბათ, მეტი ხნისა ბრძანდებით, მაგრამ კითხვებს ბავშვურს ბძანებთ.

△ ურუგვაის გუნდის უკანასკნელ მეცადინეობა ტაქტიკაში მწვრთნელმა ონდინო ვიერამ შემდეგი სიტყვებით დ ამთავრა: „ახლა ყველაფერი იცით. ისე დაგრჩენიათ, რომ თმა გაიკრეჭოთ“. დ გუნდი მთელი შემადგენლობით საპარიკ მახეროსაკენ გაემართა.

ამუ-დარია დაიმორჩილეს

ურგენჩი, 12 ივლისი. (საკადესის კორ.). ხორეზმში 25 დღე-ღამეს გოდელდებოდ ბრძოლა ამობოქრებულ ამუ-დარიასთან. ადამიანებმა გაიმარჯვეს მრისხანე სტიქიასთან ბრძოლაში, შეაკავეს ადიდებული მდინარის ძლევამრი დაწნეხი.

...ეს დაიწყო ივნისის მეორე დეკადაში, როცა მთის თოვლის დნობის გამო ერთი მეტრით ადიდდა მდინარის ჰორიზონტი. კლდოვანი ვიწროებიდან გამოვარდა ნაკადი, რომლის სიჩქარე წამში 3 მეტრი ალ აღწევდა. ადიდებული წყალი შეიჭრა დაბალ ადგილებში და გაიარღვია მიწის ჭვარტლები, წყალმა თანდათანობით დატბორა ნათესები.

მაგრამ მექანიზატორებმა ჭირვეული წყალს გასაქანი არ მისცეს. საშიშ ადგილებში დააყენეს ექსკავატორები, მიწსაწყალი მანქანები, ავტოსკრეპერები და ბულდოზერები. საავტომობილო და სამელიორაციო ქარავანს განუწყვეტლივ მოჰქონდ ფიჩხი, ქვა, რკინაბეტონის ფილები.

ღღეს ტაშსაკის წყალსაწყობმა თამამად აჩვენა 163. მდინარის ჰორიზონტმა 30 სანტიმეტრით იკლო. საფრთხემ ჩაიარა.

ამინდი

ნლევანდელი ზაფხული საკმაოდ ცხელი გამოდგა. გუშინ შუადღისას დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მცირე წვიმა მოვიდა, და აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, სადაც ტემპერატურა 33-36 გრადუსის ფარგლებში მერყეობდა, შედარებით გრილოდა. თბილისში გუშინ ღღის 3 საათსა სათვის თერმომეტრი 36 გრადუსს უჩვენებდა.

ღღეს საქართველოში უმეტესად უნალი ამინდი იქნება. ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში 26-31 გრადუსს მიაღწევს, აღმოსავლეთ საქართველოში — 33-38 გრადუსს. თბილისში სუსტი ქარი იქროლებს ჰაერის ტემპერატურა 36-38 გრადუსი იქნება.

ტელევიზია

15 ივლისი

11.00 — მხატვრული ფილმი „წინ გასწი, ღროვ!“ (I და II სერია), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „არდადეგები“, 19.00 — სატელევიზიო ნარკვევი — „მთების ბარაქა“, 19.30 — „ახალი წიგნები“, 19.55 — „მღერის მაია კრისტალინსკაია“, 20.30 — მხატვრული ფილმი „წინ გასწი, ღროვ!“ (მეორე სერია), 22.00 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.15 — გადაცემათა პროგრამა 16 ივლისისათვის, 22.20 — მსოფლიო პირველობა ფეხბურთში. უნგრეთი-ბრაზილია (გადმოცემა ინგლისიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა: ღილით 12 საათიდან, საღამოს 17 ს. 45 წ.

16 ივლისი

12.00 — მსოფლიო პირველობა ფეხბურთში. უნგრეთი-ბრაზილია (განმეორებითი, გადმოცემა მოსკოვიდან), 16.25 — გადაცემათა პროგრამა, 16.30 — ბავშვებისათვის — „პიონერული ზაფხული“, 17.30 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 17.50 — მსოფლიო პირველობა ფეხბურთში. საბჭოთა კავშირი — იტალია (გადმოცემა ინგლისიდან), 19.45 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — კინოხარკვეევი, 20.45 — ახალი ამბები, 21.05 — საეს-ტრადო-სტადელეფეზიო ალმანახი „სალოობო“, 22.05 — მხატვრული ფილმი „ჭრელთა საქმე“, 23.40 — გადაცემათა პროგრამა 17 ივლისისათვის, 00.45 — მსოფლიო პირველობა ფეხბურთში — ბულგარეთი — პორტუგალია (განმეორებითი გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 15 ს. 30 წ.

მატჩები და შედეგები

14 ივლისს ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურის დღე იყო „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. მატჩები გაიმართა შვიდ ქალაქში.

ერთ-ერთ ცენტრალურ პაექრობას წარმოადგენდა შეხვედრა მოსკოვში დედაქალაქის „სპარტაკსა“ და სსრ კავშირის ჩემპიონ მოსკოვის „ტორპედოს“ შორის. ანგარიში სპარტაკელებმა გახსნეს, მაგრამ ტორპედოელებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა და მატჩი ფრედ (1:1) დაამთავრეს.

ლენინგრადში ჯგუფის წარმომადგენელი ტაშკენტის „პახტაკორი“ დინამო როსტოვს ეწვია და აქ მატჩი ჰქონდა ადგილობრივ არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან. ტაშკენტელებმა, რომლებიც კიევის დინამოელებთან ერთად ჩემპიონატზე დაუმარცხებლად იბრძვიან, კიდევ ერთი წარმატება ზეიმეს, გაიმარჯვეს 1:0.

კიდევ ერთი შეხვედრა ვამართა საკუთარ მოედანზე ბაქოს „ნეფტიანიკმა“. ამჯერად მისი მეტოქე იყო აუტსაიდერი — მოსკოვის „ლოკომოტივი“. ბაქოელები აღმავლობით იბრძოდნენ, მათ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი და მოიგეს მატჩი 2:0.

დონეცკში თამაშობდნენ ადგილობრივი „შახტიორისა“ და ალმა-ატის „კაირატის“ გუნდები. ამ მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. დონეცკელებმა აქტივი ორი ქულა ჩაიწერეს.

ოდესის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი, რომელსაც სატურნირო ცხრილში უკანასკნელი — მეცხრამეტე ადგილი ეკავა, თამაშობდა მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ და კიდევ ერთი დამარცხება განიცადა, ამჯერად — 0:2.

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ „ზენიტი“ და მინსკის „დინამო“. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა